# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 7 სექტემბერი, 2012 წელი.

№171 (7047)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# უმწიფარი პოლიტპარტიები და უიდეო პოლიტ-ელიტა!



პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიების ციებ-ცხელება...

3

# „ქართული ოცნების“ თეზისებმა პროგრამის სახე მიიღო



5

## მიშისტებს საარჩევნო კოდექსის შეცვლა დასავლეთმა უკარნახა

5

## საზარბაზნე ხორცი

7



## სხვის ომებში

## თბილისური „პიზის კოშკი“, მდინარე ვერეს საფრთხე და სხვა



9

# ნუ წაართმევთ ჩვენს მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას!

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“

## მიმართვა

## თბილისის 2012 წლის 5-7 სექტემბრის ამბასადორიალის მონაწილეებს

კოლეგებო,

იმედია, დაგვეთანხმებით, რომ საქართველო ისტორიულ გზაგასაყარზე იმყოფება –– ან ქვეყანა გამოიყენებს რეალურ შანსს და ერთხელ და სამუდამოდ თავისუფალი არჩევნების გზით განახორციელებს ცვლილებას, ან ხელიდან გაუშვებს ამ საშუალებას. 1 ოქტომბრის არჩევნები სამომავლოდ არა მხოლოდ ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარების განმსაზღვრელი იქნება, არამედ შესაძლოა, დიდ ნაბიჯად იქცეს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში. ვინ, თუ არა თქვენ, კარგად იცით ამ საკითხის მნიშვნელობა.

არაფერს ვიტყვით დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივ ბუნებაზე, რაც ყველას კარგად მოგეხსენებათ. თუმცა, პროფესიული მოვალეობის გარდა, არსებობს უფრო მეტი, უფრო ღირებული და ამას პრინციპული მიდგომა და, ალბათ, ერთგვარი გმირობაც სჭირდება — თქვენ უნდა გააკეთოთ თავისუფალი არჩევანი და უნდა უზრუნველყოთ საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები ამ უფლებით.

სამწუხაროდ, ქვეყნის ხელისუფლებამ საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს თავისუფალი არჩევანის საშუალება პრაქტიკულად უკვე შეუზღუდა. სწორედ ამიტომ, მოგმართავთ, კარგად გაიაზროთ არსებული ვითარება და ისედაც დამახინჯებულ საარჩევნო გარემოში ნუ იქცევით ხელისუფლების ხელში საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ბრმა იარაღად — ამ ხალხს თქვენი იმედი უნდა ჰქონდეს. უსამართლობასთან შეუგუებლობა თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალია და მხოლოდ ასე შევძლებთ ცივილიზებული, პასუხისმგებლობით აღსავსე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. არც ჩვენთვის იყო თავის დროზე ადვილი დიპლომატიური სამსახურის დატოვება, იმ საქმისა, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში თქვენთან ერთად ერთგულად და პატიოსნად ვემსახურეთ. მაგრამ, როცა აშკარად ხედავ, რომ უხეშად ირღვევა შენი ქვეყნის მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები, გაჩუმება დაუშვებელია.

ამდენად, მოგიწოდებთ, საშუალება მისცეთ ჩვენს ემიგრანტებს შეუფერხებლად და ზედმეტი ფორმალობების გარეშე გაიარონ რეგისტრაცია საარჩევნო სიებში, რათა მიეცეთ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, მით უმეტეს, რომ მათთვის ამ უფლების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით არის გარანტირებული.

გაითვალისწინეთ, აგრეთვე, რომ ემიგრანტების დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა რეგისტრაცია საკონსულოებში იმიტომ, რომ ბარიერები შეიქმნა მინისტრის ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების გამო, და, შესაბამისად, სამართლიანი იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის ეს ვადა მაქსიმალურად გაიზარდოს.

ამავე ბრძანებაში შეტანილმა ცვლილებამ რეგისტრაციის პრობლემები შეუქმნა როგორც არალეგალურად მყოფ ემიგრანტებს, ისე უცხოეთში ლეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეებსაც. არჩევნების წინ ასეთი მოთხოვნების შემოღება საკუთარი მოქალაქეების მიმართ უსამართლოდ მიგვაჩნია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა სწორედ არალეგალურად მყოფ, საკუთარი ქვეყნიდან გაჭირვებასა და უმუშევრობას გაქცეულ ემიგრანტებს სჭირდებათ, მით უმეტეს, რომ მათი არალეგალურობის სტატუსი სწორედ ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია.

დიპლომატიური მისიებიდან დიდი მანძილით დაშორებულ ქალაქებში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა მოითხოვეს დამატებითი უბნების გახსნა. ამისთვის, მათ კოლექტიური განცხადებითაც კი მიმართეს საგარეო საქმეთა სამინისტროს. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორშაბათ დღეს არჩევნების დანიშვნა კიდევ უფრო ართულებს მათთვის არჩევნებში მონაწილეობას. მიუხედავად მათი თხოვნისა, არც ცესკო და არც საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ითვალისწინებენ საკუთარი მოქალაქეების თხოვნას. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, ნუ წაართმევთ ჩვენს მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას.

დემოკრატიულ სამყაროში იცვლებიან პრეზიდენტები და მთავრობები, მაგრამ არსად, არასდროს დიპლომატიური სამსახური ცალკეული მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესების გამტარებლად არ გვევლინება. ის თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს.

**ირაკლი ალასანია, თედო ჯაფარიძე, ვიქტორ დოლიძე, მაია ფანჯიკიძე, დავით ზალკალიანი, ალექსი პეტრიაშვილი, ზაალ გოგსაძე, გიორგი ვოლსკი, კონსტანტინე სურგულაძე, ირაკლი ჩიქოვანი.**

ინფორმაცია



## ილია მეორე: იმედი მაქვს, სამშვიდობო გზაზე გავალთ

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე იმედოვნებს, რომ საქართველო სამშვიდობოს გავა და ყველაფერი კარგად იქნება. ამის შესახებ ილია მეორემ ბოლნისში ბრძანა, სადაც ეპარქიის მოსალოცად იმყოფებოდა.**

**პატრიარქმა ასევე ბოლნელი ეპისკოპოსის ეფრემის ღვაწლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მან საკუთარი ხელით აღადგინა ბოლნისის წმინდა ეპარქია.**

**„დაუღალავი შრომისა და გაციებული კერის აღდგენისთვის“ პატრიარქმა ეფრემ ეპისკოპოსი მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა.**

მინისტრი

## ვერა ქობალიას კომენტარი

**ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ „ყაზტრანსგაზის“ შესაძლო გაყიდვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი გააკეთა.**

**„რაც შეეხება „ყაზტრანსგაზის“ ინვესტიციებს ქვეყანაში, საქართველოსა და ყაზახეთის სახელმწიფოების მხრიდან არსებობს საერთო კომისია, რომელიც მუშაობს ყველა საკითხზე, რათა უფრო გამართულად მუშაობდეს ეს პროგრამები როგორც თბილისში, ასევე სხვა მიმართულებებით“, — განაცხადა ქობალიამ.**



ინტერპრესნიუსი

# „ამერიკელმა სენატორებმა კარგად დაინახეს, რომ, რასაც სააკაშვილი ამბობს ჩემზე, სიცრუეა“

**ეს განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ ლიდერებისა და ამერიკელი სენატორების შეხვედრის შემდეგ.**

მისივე თქმით, შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. ამერიკელ სენატორებს აინტერესებდათ დღევანდელი რეალობა და „ქართული ოცნების“ პოზიცია.

**„მათ კარგად იცოდნენ ყველაფერი, თუმცა ჩვენგან კიდევ უფრო კარგად დაინახეს დღევანდელი რეალობა“,** — განაცხადა ივანიშვილმა.



„ქართული ოცნების“ ლიდერის თქმით, სენატორებს, ასევე, აინტერესებდათ მისი ბიოგრაფიაც.

**„განსაკუთრებით დაინტერესდნენ იმით, რასაც სააკაშვილი ჩემს რუსეთში ქონებასთან დაკავშირებით საუბრობს. მაკკეინს ისიც ვუთხარი, რომ გუშინ რუსეთში ჩემი ბოლო ქონება ცნობილმა ამერიკულმა ფონდმა შეიძინა. საუბარია სოფლის მეურნეობის სექტორში არსებულ ქონებაზე. მათ ძალიან კარგად დაინახეს, რომ, რასაც სააკაშვილი ამბობს ჩემზე, რომ ვარ კრემლის აგენტი, სიცრუეა“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, შეხვედრისას სენატორებს გააცნეს სიცრუისა და ძალადობის ფაქტები, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს.

**„ჩვენ დავპირდით, რომ მოვახერხებთ პროცესების არჩევნებამდე მიყვანას და დემოკრატიულად ჩავანაცვლებთ ხელისუფლებას“,** — დასძინა ივანიშვილმა.

აშშ-ის სენატის სამკაციანი დელეგაცია სენატორ ჯონ მაკკეინის ხელმძღვანელობით საქართველოს გუშინ, ორდღიანი ვიზიტით ეწვია. დელეგაციაში არიან სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი (დამოუკიდებელი, კონექტიკუტის შტატიძ და სენატორი ლინდსი გრემი („რესპუბლიკური პარტია“, სამხრეთი კაროლინაძ.

ვიზიტის ფარგლებში სენატორები პრესკონფერენციასაც გამართავენ.

ინტერპრესნიუსი

ბიზნესი

# სამშენებლო კრიზისმა მონათესავე ბიზნესები ჩაითრია

**სამშენებლო ბიზნესი ფინანსურ კრიზისს თავს ვერ აღწევს. ბოლო პერიოდში ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. საქმე ისაა, რომ აქ არ იგულისხმება მხოლოდ დეველოპერული კომპანიები, რთული ვითარებაა სარემონტო ფირმებში და სამშენებლო მასალების ბიზნესში. არადა, წლევანდელმა პიკმა უკვე ჩაიარა, ანუ გაისამდე ვითარების გამოსწორების შანსი არ არსებობს.**

დეველოპერები ამბობენ, რომ 2011 წლის მიწურული სამშენებლო სექტორისთვის უფრო აქტიური იყო, ვიდრე 2012 წლის პირველი ნახევარი. მიზეზებს შორის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და ევროპის ეკონომიკური კრიზისი სახელდება. მშენებელთა განცხადებით, თუ ადრე უძრავ ქონებას ინვესტირების მიზნით ყიდულობდნენ, დღეს პირველი მიზეზი საჭიროებაა.

ბროკერთა შეფასებითაც, 2009-11 წლებთან შედარებით 2012 წელს ბაზარი ოდნავ გამოცოცხლებულია, მაგრამ ეს მაინც არ არის ოპტიმიზმის საფუძველი: „კარკასული ბინები ბაზარზე დეფიციტურია. მოთხოვნა ძირითადად პატარა ბინებზე ფიქსირდება“, — ამბობენ ბროკერები.

უძრავი ქონების შეძენისას ტრანზაქციის განხორციელება ნაღდი ანგარიშსწორებით იშვიათად ხდება: ნაწილი იღებს სესხს ბანკიდან და უძრავ ქონებას ისე ყიდულობს, ნაწილი კი ყიდის კუთვნილ ბინას და საცხოვრებლად უფრო ნაკლებ ფართს ყიდულობს. გაყიდვებიც ძირითადად 40-დან 80 კვადრატულ ბინებზე ფიქსირდება. ბინებს საშუალო ფენა, ძირითადად, საბანკო კრედიტებით ყიდულობს.

სამშენებლო კომპანია „არსის“ დამფუძნებლის ირაკლი როსტომაშვილის აზრით, დეველოპერებისთვის ძირითადი შეფერხებაა ის, რომ ბანკები თავს იკავებენ სამშენებლო პროექტების დაფინანსებისა და დიდი კრედიტების გაცემისგან.

„მიზეზი, ალბათ, ბანკებს უნდა ჰკითხოთ, ის ვიცი, რომ თითქმის ყველა სამშენებლო კომპანიას თანხების მოზიდვის პრობლემა აქვს. გამოსავალი ზოგადად ეკონომიკის განვითარებასა და გაჯანსაღებაში უნდა იყოს“, — აცხადებდა ამ რამდენიმე ხნის წინათ როსტომაშვილი და ვითარება ზაფხულის მიწურულსაც არ შეცვლილა.

სამშენებლო ბაზრის კრიზისი კი იმ კომპანიებზეც აისახა, რომლებიც მოსაპირკეთებელ და სარემონტო სამუშაოებს ახორციელებენ. კომპანია „სფინქსის“ ხელმძღვანელი თეიმურაზ ღარიბაშვილი ამბობს, რომ შეკვეთები შეუმცირდა: შენობებს ბუნებრივი ქვით, ბაზალტით, გრანიტით და სხვა საშუალებებით ვაპირკეთებთ. 2008 წლის შემდეგ ჩვენი შეკვეთები შემცირდა. ახალი ნიშა სხვა მოთამაშეებმა დაიკავეს“, — ამბობს ღარიბაშვილი.

არანაკლებ რთული ვითარებაა სამშენებლო მასალების ბიზნესში. არმატურა, ბლოკი, ცემენტი, სამშენებლო სილა, ხრეში, ხის მასალა — თითოეულ მათგანზე მოთხოვნა თითქმის თანაბრადაა შემცირებული. მეწარმეთა თქმით, ეს გასაკვირი არცაა, რადგან თუ ვინმე მშენებლობას იწყებს, ის ყველა სახის სამშენებლო მასალას ყიდულობს.

წლეულს, შარშანდელთან შედარებით, გაყიდვების რაოდენობა 20-30 პროცენტითაა შემცირებული ცემენტზეც. რეალიზატორები ამას სამშენებლო ბიზნესის ჩავარდნას და თურქეთიდან იმპორტირებულ შედარებით დაბალფასიან პროდუქტს უკავშირებენ.

პარალელურად საუბრობენ სამშენებლო სილისა და ხრეშის გაყიდვების რაოდენობის შემცირებაზეც. „თუ ვინმე ცემენტს ყიდულობს, ყიდულობს სამშენებლოს სილასა და ხრეშსაც. ამდენად, მათზე მოთხოვნაც 20-30 პროცენტითაა შემცირებული როგორც საბითუმო, ასევე საცალო ქსელში. ბიზნესი უკან და უკან მიგვდის. სამშენებლო მასალებზე მოთხოვნის შემცირება, ძირითადად, იმითაა გამოწვეული, რომ ქვეყანაში კერძო მშენებლობები შეჩერებულია“, — აღნიშნავს მეწარმე ზაქრო ჯანელიძე.

გაყიდვებს უჩივიან არმატურის რეალიზატორებიც. მათი თქმით, გაყიდვები 30-50 პროცენტითაა დაკლებული. როგორც მეწარმეები აღნიშნავენ, ვითარების გამოსწორება მომავალ წლამდე შეუძლებელია.

**ეკა ბაქრაძე**
**For.ge**



გააცუცურაკეს

# სიის მიღმა დარჩენილი კერვალიშვილი ძველ საქმეებს გააგრძელებს

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი ირწმუნება, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რა თანამდებობაზე იქნება. საარჩევნო სიის მიღმა დარჩენილი კერვალიშვილი ამბობს, რომ სიაში არმოხვედრა არ ნიშნავს, რომ იქ არ არის, სადაც უფრო საჭირო საქმეს აკეთებს.**

**From.ge პარლამენტის ვიცე-სპიკერს რუსუდან კერვალიშვილს ესაუბრა:**

**— თქვენ ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიაში ვერ მოხვდით. რაიმე თანამდებობა ხომ არ შემოგთავაზეს?**

— ჯერ ჩვენთან ტრანსპარანტული და გამჭვირვალე არჩევნებია, რომელშიც ყველა მონაწილეობს.

**— თქვენ ახლა ნაციონალურ მოძრაობას ეხმარებით?**

— რა თქმა უნდა. ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ქვეყანაში გამჭვირვალე და მშვიდობიანი არჩევნები ჩატარდეს, რომლითაც ჩვენი საზოგადოება კმაყოფილი იქნება.

**— ნაციონალური მოძრაობის სიაში რომ ვერ მოხვდით, გული არ დაგწყდათ?**

— ამ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა იქნება მეტი სარგებელი ხალხისთვის. აი, სწორედ იმის გაკეთება არის ჩემი პირადი ამოცანა.

**— თქვენ რომ არ მოხვდით სიაში, ამით ხალხს მეტი სარგებელი ექნება?**

— იცით რა, სიაში არმოხვედრა არ ნიშნავს, რომ არ ვარ იქ, სადაც უფრო საჭირო საქმეს ვაკეთებ. ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, თუ რა იქნება უფრო მეტი სარგებლის მომტანი მოსახლეობისთვის.

**— აღმასრულებელ ხელისუფლებაში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობას არ გთავაზობენ?**

— ამას ამ ეტაპზე საზოგადოებისთვის ნამდვილად მნიშვნელობა არა აქვს. უფრო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დემოკრატიულად, მშვიდობიანად და გამჭვირვალედ ჩატარდეს არჩევნები.

**— პარლამენტის მიღმა დარჩენილი რას გააკეთებთ?**

— იგივეს, რასაც ახლა ვაკეთებდი. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებები, ქალთა უფლებების დაცვა და ამავე დროს ყველა ის საკითხი, რაზეც ვმუშაობდი.

**— რამ განაპირობა ის, რომ სიაში არ მოხვდით? ეს ფაქტი როგორ აგიხსნეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა?**

— ჩვენი გუნდი, ისევე როგორც ზოგადად სხვა გუნდი, გადაწყვეტილებას იღებს თავისი შეხედულებებიდან გამომდინარე. ყველაზე მნიშვნელოვანია იმ საქმისადმი და პრინციპებისადმი ერთგულება, რომელიც გუნდს აქვს. ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რა ადგილზეა.

**— ამბობენ იმასაც, რომ თქვენი რეიტინგი გაზომეს და დაბალი რეიტინგის გამო არ შეგიყვანეს სიაში?**

— ესეც შესაძლებელია. ეს ხალხის გადასაწყვეტია. მე ძალიან მიხარია, თუკი ყველა გადაწყვეტილება მიიღება ისე, თუ რა არის ხალხისთვის უფრო საინტერესო.

**From.ge**

### „ერი და ბერი“

# უმწიფარი პოლიტპარტიები და უიდეო პოლიტ-ელიტა!



**პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიების ციებ-ცხელება...**

ჩვენში, მმართველი პარტიები ყალიბდებოდა „ზემოდან“, ერთი კონკრეტული ლიდერისთვის, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სიმპათიით სარგებლობდა. არავის აინტერესებდა, როგორი იდეოლოგია აქვს ასეთ პარტიას — მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტული თუ სხვა. **პარტიებს შორის განსხვავებას ლიდერების პიროვნება განსაზღვრავდა, პარტიის სახელსაც კი არ ჰქონდა არანაირი შინაარსობრივი დატვირთვა. მოეწონებოდათ სახელი და ისე დაირქმევდნენ, რომ მისი მნიშვნელობა გააზრებულიც არ ჰქონდათ.** ბუნებრივია, ასეთი პარტიები მასობრივი ვერ გახდებოდნენ. ამ ფონზე, სახელისუფლო პარტიასაც არანაირი იდეოლოგია არ გააჩნდა, ჰქონდა მხოლოდ ერთი ამოცანა — პრეზიდენტის პოლიტიკის მხარდაჭერა!..

თუ გახსოვთ, ჟვანია აცხადებდა, რომ მოქალაქეთა კავშირი ხელისუფლებაში რამდენიმე ათეული წლით მოვიდა, მაგრამ, როგორც კი შევარდნაძე გადადგა, მოქალაქეთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. იგივე დაემართება ნაციონალურ მოძრაობასაც, როგორც კი სააკაშვილი პოლიტიკური არენიდან წავა. **ეს ყველა ქართული პოლიტიკური პარტიის წესია — პარტიები იქმნება ლიდერის და არა იდეოლოგიის გარშემო.** მიდის ლიდერი და კვდება პარტიაც. ასე, უკვე 20 წელიწადია გრძელდება... ყველა წუწუნებს იდეოლოგიის მქონე პარტიების არარსებობის გამო. როგორც კი, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა პარტიის შექმნის თაობაზე, ათასობით ადამიანი „მივარდა“ გასაწევრიანებლად, ეს ცუდი არ არის, მაგრამ, განა ვინმე დაინტერესდა, თუ როგორი იქნება ამ პარტიის იდეოლოგია, ქვეყნის განვითარების სტრატეგია, სოციალური პრიორიტეტები, საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური მოდელი? — არა, არავინ დაინტერესებულა. თავის დროზე, ასეთივე ეგზალტირებულნი „შევარდნენ“ შევარდნაძისა და სააკაშვილის „პარტიებშიც“, მავანნი...

ასეთი იყო ჩვენში, პარტიათა ფორმირების აქამდე არსებული პრაქტიკა. პარტიული ლიდერები ვერ ახერხებდნენ სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას, თუ პარტიას საკუთარ თავზე არ მოირგებდნენ, მაშ, რით მოეზიდათ „პარტიული ელიტა“? ისინი, მათ პირდებოდნენ ადგილებს პარლამენტში, ფულიან თანამდებობებს, კარგ ბიზნესს. **ამგვარად, პარტიები, პარტიული გუნდები ყალიბდებოდა არა ქვეყნის განვითარების იდეების რეალიზაციისთვის, არამედ ადამიანთა ჯგუფის მომგებიანი დასაქმების მიზნით — პირადი გამორჩენისთვის!..** ამიტომაც, ჩვენ მუდმივად ვხედავთ გარიგებებს ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის, განხეთქილებას პარტიებში, ერთი და იმავე სახეების გადასვლას პარტიიდან პარტიაში. ჩვენ ხომ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნამყოფი არიან აბსოლუტურად ერთმანეთის საწინააღმდეგო დასახელების მქონე რამდენიმე პარტიაში. **იდეოლოგიის, სტრატეგიული მიზნების არარსებობამ, პარტიული ლიდერების უპრინციპობამ, მოსახლეობაში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი სრული უნდობლობა გამოიწვია...**

დიახ, დიდი უმრავლესობა ასეთია, გაიხსენეთ ამ პოლიტიკოსების პოლიტიკური კარიერა, რომელი არ იყო ჯერ შევარდნაძესთან, შემდეგ კი სააკაშვილთან? რაზე ელაპარაკებოდნენ მაშინ ხალხს? — ნატოში უმოკლეს ვადაში შესვლაზე, დასავლური ღირებულებების „დანერგვაზე“, „სამარცხვინო წარსულზე“ უარის თქმაზე, რუსეთის ფაქტორის იგნორირებაზე და სხვა. სხვათა შორის, ამერიკელებისგან უარის მიღების შემდეგ, ზოგიერთმა მათგანმა მხარდაჭერისთვის სწორედ რუსეთს მიმართა!.. იქნებ, ახლა მაინც, ამ პოლიტიკოსებმა მკაფიო იდეოლოგიური კონცეფციის შემუშავება დაიწყონ, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და ზნეობრივ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული და ამგვარად სცადონ ერის მხარდაჭერის მოპოვება, ნაცვლად იმისა, რომ თეთრი სახლისა და კრემლის მისაღებში „საკუთარ რიგს დაელოდონ“...

**პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, იდეების ბრძოლაა. პოლიტიკური ლიდერები იდეური ადამიანები უნდა იყვნენ, ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე საკუთარი ხედვა, კონცეფცია უნდა გააჩნდეთ.** დამისახელეთ თუნდაც ერთი ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობის თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების შესახებ, პროგრამული სტატიის ავტორია?! წიგნზე აღარას ვამბობ!.. ისინი ურიცხვ ინტერვიუებს აძლევენ, რომლებშიც სააკაშვილს უზრალოდ „დასცინიან“, ერთმანეთს პრეტენზიებს უყენებენ, თავს იქებენ, სხვებს კიცხავენ. **პარტიული პროგრამები ერთნაირია, მათ კითხვას არანაირი აზრი არ აქვს, ისინი, უბრალოდ, დასავლური ნიმუშებიდანაა გადმოწერილი და ქართულ სინამდვილესთან არანაირი კავშირი არ აქვთ.** მაშ, რის საფუძველზე უნდა მისცეს მათ ხმა ამომრჩეველმა? მხოლოდ, „ნაირ-ნაირი“ დაპირებები.. შევარდნაძეც პირდებოდა, სააკაშვილიც... და ვინ არა?!..

**საზოგადოების პოლიტიკურ კულტურას აყალიბებს იდეების ბრძოლა, ანუ იდეალში — პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. ქართულ პარტიებს, იდეების არქონის მიზეზით ასეთი კულტურის ფორმირება არ შეუძლიათ. მაგრამ პოლიტიკური კულტურის გარეშე, ჩვენი საზოგადოება დაუცველია სხვადასხვაგვარი პოლიტიკური მანიპულაციებისგან. პოლიტიკური ელიტა, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო ამ 20 წლის მანძილზე და სათავეში ჩადგომოდა პოლიტიკურ პროცესებს, ვერ შეიქმნა, ან უსუსური აღმოჩნდა! დღეს, ისინი საკუთარი პარტიების „სახელოვანი“ ბიოგრაფიების „ჩასწორება-გადასწორებით“ არიან დაკავებულები, — „ახალ პირობებში“ ადაპტაციისთვის!** საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის მანძილზე, ქართველი ადამიანი, მისი სიხარული თუ ტკივილი, მოლოდინი თუ იმედგაცრუება, არც ერთ ხელისუფლებას თუ პოლიტიკურ ჯგუფს გულთან არ მიუტანია!.. არადა, სუვერენული ქართული სახელმწიფოს არსებობაზე პასუხისმგებლობა ყველა ქართველმა უნდა იტვირთოს. ამისთვის იგი კომპეტენტური უნდა იყოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებში, რათა მოტყუებული არ დარჩეს როგორც გარეშე ძალების, ისე ადგილობრივი პოლიტიკური ავანტიურისტების მხრიდან! ამიტომ, ძლიერი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას და განვითარებას, უდიდესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის!

17 წელია, რაც მოქკავშირ-ნაციონალების „პოლიტელიტა“ დასავლეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან ურთიერთობისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს და ქართველი ხალხის სახით, მათ „მძიმე მემკვიდრეობა“ ერგოთ, როგორც — ჩამორჩენილი, რეტროგრადული, ორთოდოქსული, პოსტსაბჭოთა, დაბალი პოლიტიკური კულტურის მატარებელი საზოგადოება.. და რომ მხოლოდ ნაციონალები, მათი „პროდასავლური“ ლიდერის სახით წარმოადგენს ერთადერთ რეალურ პოლიტიკურ ძალას, რომლის მიზანია საქართველოს „დასავლურ“ ყაიდაზე მოდერნიზება.. ამ მმართველი პოლიტვამპირების „განმარტებით“, ყველა დანარჩენი პოლიტიკური პარტიები, ან მათ სატელიტებად გვევლინებიან, ან რუსეთისკენ „იყურებიან“, ან კიდევ სუსტი და უუნარონი არიან.. ეს „ისტორია“ გუშინ არ დაწყებულა და იგი სათავეს იღებს 1995 წლიდან, როცა აწ განსვენებული ჟვანია შევარდნაძის ფავორიტად და პარლამენტის თავმჯდომარედ მოგვევლინა (მან, სააკაშვილიც მაშინ „აღმოაჩინა“!ძ.. **დიახ, სწორედ ჟვანიას და მისი მცირე, მაგრამ „მოხერხებული“ ჯგუფის მეთაურობით (რომელმაც მას „უგანა“, დაღუპვის შემდეგ!) საფუძველი ჩაეყარა საქართველოსთვის დამამცირებელ „თვითგანქიქების“ პოლიტიკურ რიტორიკას.. სხვათა შორის, მათთვის ამან „შედეგი“ გამოიღო — ძლიერი ლობისტების და დიდი ოდენობის გრანტების სახით, რომლებიც წარიმართა ამ ჯგუფის მიერ კონტროლირებად არასამთავრობო სექტორში, სადაც ზემოთხსენებული პოლიტიკური „იდეოლოგია“ ინერგებოდა.**

მოგვიანებით, როდესაც შევარდნაძის „წასვლის დრო მოვიდა“ და „სცენარიც შემუშავდა“ („ვარდების რევოლუცია“ძ, — ავანტიურისტმა სააკაშვილმა, რომელიც 2003 წლამდე ჟვანიას „ნაკვალევზე დადიოდა ვაშინგტონში“, აღარ დაახანა და ლიდერის „მაისური ჩამოართვა“ მას, რადგანაც შევარდნაძის „გვერდით ყოფნით“ ჟვანიას პოლიტიკური ფიგურა ძალიან „გაცვდა“ და ბურჯანაძესთან ალიანსმა ჟვანიას „ვეღარ უშველა“. ამავდროულად, სააკაშვილმა აშშ-ის და ევროპის პოლიტიკურ წრეებში, ყველაზე „პროდასავლური“ პოლიტიკოსის სახელიც მოიპოვა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რაშიც მას უამრავი ფინანსები „ჩაუდეს“ (ნეტავ ვინ?!ძ...

მოკლედ, 17 წელია ამ პოლიტიკურ ბაკხანალიაშია საქართველო, რომელიც ამ ცვალებადი (შემადგენლობითძ პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს ემსახურება.. 17 წელია, რაც „უბერებელი სახეები“ (მოქ. კავშირ-განაციონალებულებიძ ჭკუას არიგებენ „გოიმ“ ქართველებს, თუ როგორ და რა გზით უნდა განვითარდეს ქვეყანა, ვინაიდან „ეს მხოლოდ მათ იციან“ და „მიაჩნიათ“, რომ კიდევ ერთი-ორი ათეული წელი ხელისუფლებაში მათი ყოფნა „აუცილებელია“, თორემ ქართველი ერი „დაიღუპება უმათოდ, მაგრამ მათდა საუბედუროდ, 11 თვის წინათ ქართული პოლიტიკის ავანსცენაზე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც განაცხადა: **„ეს უნდა დამთავრდეს“!..**

**მოკლედ, ამ მიმართულებით, 20-წლიანი ციკლი „მთავრდება“... იწყება ახალი, რომლის სათავეში დგას ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ბიზნესიდან მოვიდა პოლიტიკაში... მოსვლაც არის და მოსვლაც, — 7-მილიარდიანი ფინანსური კაპიტალით და უდიდესი ქველმოქმედის სახელით„მოვიდა“!.. ღმერთმა ქნას, რომ 7 წლის შემდეგ, არანაკლებ 7 მილიარდს შეადგენდეს მთლიანად — ქართული პოლიტიკური სპექტრის „პოლიტიკური კაპიტალი“!.. იმედია, რომ ბ-ნ ბიძინას განვლილი პოლიტიკური 20 წელიწადი უკვე გაანალიზებული აქვს და ქვეყნის ახალი პოლიტიკური ცხოვრების ფორმირებისას, ქართული საზოგადოებრიობა შეძლებს, რომ საქართველო გახდეს ევროპული დონის პოლიტიკური კულტურის ქვეყანა!!!...**

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი

### ინფორმაცია

## რუსეთი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „საზღვრებთან“ ათი კილომეტრით მიახლოებას კრძალავს

**რუსეთი ნებისმიერ ფრენებს 10 კილომეტრზე ახლოს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან ღია ცის შესახებ ხელშეკრულების დარღვევად განიხილავს, — ამის შესახებ აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეიარაღებაზე კონტროლს, იარაღის გაუვრცელებლობას და განიარაღების შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებას ეხმიანება.**

**რუსეთის საგარეო უწყება აცხადებს, რომ თუ მათი ამერიკელი კოლეგები კვლავინდებურად შეეცდებიან ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებების პროცესში მოაქციონ კონფლიქტების თემატიკა (საქართველოსა და მოლდოვაში — რედ.) , მაშინ ისინი წინასწარ განწირულს ხდიან ამ მოლაპარაკებებს.**

**— მით უფრო თუ აშშ-ის პოზიციად მოლაპარაკებების საფუძველში კვლავ დარჩება კავკასიის რეგიონში ახალი პოლიტიკური რეალიების აუღიარებლობა, — აცხადებს რუსეთის საგარეო უწყება.**

**— აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი — დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. ამისთვის ანგარიშის გაუწევლობა, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს ევროპაში სამხედრო უსაფრთხოებისა და ნდობის ინსტრუმენტების ფუნქციონირებაში, მათ შორის ღია ცის ხელშეკრულებაზე. რაც არ უნდა იყოს ნათქვამი მისი შესრულების შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში, რუსეთის ფედერაცია მომავალშიც მკაცრად დაიცავს იმ პოზიციას, რომ ნებისმიერი ფრენები ღია ცის რეჟიმში, 10 კილომეტრზე ახლოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებიდან, არის ამ ხელშეკრულების (ღია ცის შესახებ. რედ..) VI-ე მუხლის უხეში დარღვევა, — აცხადებს რუსეთის საგარეო უწყება.**

ინტერპრესი

◎ მიუკიბ-მოუკიბავად

# აქა ამბავი ყალყზე შემდგარი ქდმ-სა და სხვათა

**დღეს, ყველა თუ არა, ბევრი, მხოლოდ მომავალი ოქტომბრის არჩევნების გაყალბება-არგაყალბების ალბათობაზე და აქედან გამომდინარე მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარების შესახებ საუბრობს, ანუ, ძირითადი ყურადღება „ქართული ოცნებისა" და ნაცმოძრაობის ჭიდილზეა გამახვილებული და ერთი შეხედვით სამართლიანადაც, რადგანაც სწორედ ეს ორი პოლიტიკური პოლუსი გაითამაშებს ოქტომბრის არჩევნებში პირველ-მეორე ადგილებს.**

აქედან გამომდინარე, საზოგადოების ჯეროვანი ყურადღების მიღმაა დარჩენილი ე.წ. ფსევდოოპოზიციის წინასაარჩევნო „მოღვაწეობა", რაც, არსებულ მოცემულობაში, შეიძლება გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს უშუალოდ არჩევნების დღეს და რაც ყველაზე სახიფათოა, არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ.

**ანუ, გაყალბების ერთ-ერთ სავარაუდო სცენარად ის ვარიანტიც განიხილება, როდესაც მიშნაცები სათავისოდ 50 %-ზე ოდნავ ნაკლებს „გამოიწერენ", ხოლო დანარჩენ პროცენტებს „ქართულ ოცნებასა" და ფსევდოოპოზიციას შორის გადაანაწილებენ. რითაც მსოფლიო „დემოკრატიულ თანამეგობრობას" ეტყვიან — აი, ნახეთ, როგორი თავისუფალი არჩევნები ჩავატარეთ, პარლამენტში უმრავლესობა ოპოზიციამ აიღოო. ვერც ვერავინ შეედავებათ, რადგანაც არითმეტიკულად, ანუ, ფორმალურად, მართლაც ისე იქნება, რომ „ქართული ოცნების" მაქსიმუმ 30%-ზე პლუს 25 %, რასაც: ლეიბორისტებს, ახლებს, პადოშას, „ჩვენ თვითონ", ედპ-ს და ქდმ-ს დაუწერენ ერთად, ჯამში მართლაც 50%-ზე მეტი იქნება. რეალურად კი მიშნაცები სანუკვარ 70%-ს მიუკაკუნებენ, რადგანაც დღეს მაინც აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ჩამოთვლილი „ოპოზიციური" პარტიები ხელისუფლების სატელიტები არიან!**

სამაგიეროდ, „დემოკრატიულ დასავლეთში" მტკიცედ სჯერათ, რომ „ქართული ოცნება" და ჩამოთვლილი სატელიტები, როგორც მინიმუმ ყველანი რეალურად ოპოზიციურები არიან და თუ სიმართლეს გავუსწორებთ თვალს, „დასავლეთის დემოკრატიებს", ზოგადად ამ ფსევდოოპოზიციის უპირობო ლიდერის გიორგი თარგამაძის ქდმ უფრო ესიმპათიურებათ, ვიდრე ქართველი ხალხის იმედად მოვლენილი ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება"!..

გიორგი თარგამაძე ბოლო დროს „ყალყზე შედგა"...

დიახ, ამ ბოლო დროს, რადგანაც აქამდე, „კონსტრუქციულობით" და შესაბამისი წყნარი ტონით გახლდათ ცნობილი. ახლა კი საკუთარ მამა-მარჩენალ მასწავლებელ პრეზიდენტს პიარ-მანერებშიც დაუწყო მიბაძვა, როდესაც ავტობუსის მძღოლად მოგვევლინა ქუთაისში მიმავალი. ქუთაისში, საიდანაც დაიწყო ქდმ-ს „ძლევამოსილი" საარჩევნო კამპანია.

სხვათა შორის, ავტობუსის შოფერს ქუთაისის გზაზე „ჩეპე" შეემთხვა — გიორგის „სცეპლენია ტორმუზში" აერია, ავტობუსი დაუგორდა და უკან მიმავალ ავტობუსსავე დაეჯახა. რაც, რა თქმა უნდა, არ „გაუბაზრეს" თანმხლებმა მიშავიზიებმა — ეს ისე, ცნობისათვის...

მერე იყო და კიდევ ერთი „კაპიროვკა" მიშასგან — მიწისქვეშ, ჭიათურის მაღაროში, ალბათ მიშას ნაჩუქარ ჩაფხუტში და ბოლოს საარჩევნო „როლიკი", სადაც გიორგი ტრიბუნასთან დგას. ტრიბუნასთან, რომელიც აშკარად ვერ არის გამომსვლელის ზომის და რომ არა „ყალყზე შედგომა", მხოლოდ ფეხის წვერებზე დადგომით ვერაფრით გამოჩნდებოდა ტრიბუნის მიღმა. რადგანაც ტრიბუნა აშკარად დიდი, „ჩვენი მაღალის" ზომისაა და, სავარაუდოდ, მისგანვე არის ნათხოვარი ისევე, როგორც მიშას ნათხოვარი ავტობუსებით „ჩაიკოლონებენ" ხოლმე ქრისტიან-დემოკრატები და მიშასგან არენდით აღებული ნაცაქტივისტებითვე ავსებს ხოლმე დარბაზებს თარგამაძე. თორემ ვინმეს მართლა სჯერა საქართველოში, რასაც იოგების მაქსიმალური (მიშას მსგავსადძ დაძაბვით გაჰყვირის იმ „როლიკში", ნათხოვარი ტრიბუნიდან ქდმ-ს ლიდერი — **„ჩვენ ხომ ასე ბევრნი ვართ მთელს საქართველოში"...**

კიდევ ერთი „როლიკი" ტრიალებს ამ ბოლო დროს ტელევიზიებში, სადაც სოფლის მეურნეობის აღორძინების კონტექსტში, თარგამაძე ოროყიან თოხს უბაყუნებს და მიშასავით ვენახს წამლავს, ხოლო გიორგი ახვლედიანი ცელს იქნევს და ლევან ვეფხვაძე მოცელილს ფიწლით ზვინავს — რას იზამ, საკუთარი „პადელნიკებიც" ხომ უნდა წარმოაჩინოს მოძრაობის ხელმძღვანელმა?

აქედან გამომდინარე, ახლო მომავალში უნდა ველოდოთ ახალი „როლიკის" გამოჩენას, სადაც ინგა გრიგოლია და მაგდა ანიკაშვილი, შესაბამისად ჟანა დარკად და უცოდველ „დედა ტერეზად" იქნებიან წარმოჩენილნი — „პადელნიცებზედაც" ხომ უნდა იზრუნოს ლიდერმა?

**არადა, საზოგადოებამ კარგად იცის და ახსოვს, რომ ქდმ-ს „პადელნიკ-პადელნიცობის" პადლეცობა იმაშია, რომ ყველამ ერთად და ცალ-ცალკე, „დროულად ულალატეს" მათ მამა-მარჩენალ და საქართველოსთვის გულდამწვარ მამულიშვილს, ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილს, რითიც ბადრის მკვლელობაში თუ ბუნებრივ სიკვდილში, თუნდაც ირიბად დაიდეს წილი!..**

ბადრი პატარკაციშვილის პიროვნულად გაწირვა თუ მხოლოდ უმადურობიდან მომდინარე სულმოკლეობად შეიძლებოდა ჩაეთვალა მავანს, იმედის „დროული დახურვით", მათ პრაქტიკულად უზრუნველყვეს მიშნაცების უპრობლემო „გამარჯვება" 2008 წლის საპრეზიდენტო-საპარლამენტო არჩევნებში!

სამაგიეროდ, ყოფილი ჟურნალისტებისგან ვანო მერაბიშვილის კაბინეტში „გაკეთებულმა პარტიამ", გარანტირებულად გადალახა 7%-იანი (???ძ ბარიერი და იმ ფონზე, როდესაც სხვა ოპოზიციური პარტიები დემონსტრაციულად ჭრიდნენ თუ წვავდნენ მანდატებს, ქდმ-მ „ქრისტიანულად" და, რა თქმა უნდა, „დემოკრატიულად" შეაბიჯა ტოტალურად გაყალბებული არჩევნებით შემდგარ პარლამენტში, რითიც, „იმედის" დახურვისა და ბადრის ჩაშვებისა არ იყოს, კიდევ ერთი ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მიშნაცებს — მსოფლიო თანამეგობრობის თვალში, გაყალბებული არჩევნები „გაუპრავა" მიშას!

ის დღე იყო და ის დღე, მას შემდეგ ნაცებისაგან, მათივე „სპონტომ" ლანძღვაში, სრული კარტბლანში მიიღო გიორგი თარგამაძემ — პრეზიდენტის ვიზიტებისას პარლამენტში, ყველაზე ხმამაღლა ის აკრიტიკებს ხოლმე მიშიკოს, მაგრამ „მამლუქის" ფინალის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ:

**ღმერთმა ხომ იცის, რომ, არც ქრისტიანია, არც დემოკრატი და მით უმეტეს, არც ოპოზიციაა, ნაცების ნასუფრალით გაქსუებული, მიშას ყურმოჭრილი მონაა მხოლოდ...**

ეს ისე, მცირე რეტროსპექტივა მისი პირველი ნაბიჯების შესახებ ქართულ პოლიტიკაში. გნებავთ, როგორც ცხონებული შტირლიცი იტყოდა, ინფორმაცია განსჯისთვის, რათა კიდევ ერთხელ გავიაზროთ, რომ გიორგი თარგამაძის პარტია, ხელისუფლებაზე მეტის თუ არა, არანაკლები საფრთხის შემცველია?

რაც შეეხება დღევანდელობას, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლება და არა მხოლოდ ქდმ, არამედ ზოგადად მთელი ფსევდოოპოზიცია სრულ პოლიტიკურ იდილიაში განისვენებდნენ და რომ არა მოულოდნელი ელდა, სახელად ბიძინა ივანიშვილი, ერთად „ჰგიებდნენ უკუნისამდე".

ამიტომაც აეწვათ კუდები, რადგან, რაც ბიძინამ გააკეთა პირველ რიგში ის იყო, რომ ფსევდოოპოზიციას ფარისევლური ნიღაბი ჩამოგლიჯა და, ალბათ, დროა ყალყზე შემდგარი ქდმ-ს ჩრდილში მოქცეული „ოპოზიციის" სხვა „ვარსკვლავებზეც" ვთქვათ სათქმელი...

თარგამაძის შემდეგ დამსახურებულ მეორე ადგილს ვერავინ შეეცილება ახალ მემარჯვენეებს, რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ, ნიღაბს ვინღა ჩივის, ტანსაცმელიც შემოიძარცვა, ანუ, ახალი მემარჯვენეები შიშვლები არიან. ახლების ძველი თითლიბაზობა რომც დავივიწყოთ ე.წ. „რვიანში", **კაცი იმას რომ მოაწერს ხელს, საქართველოდან მხოლოდ 300 ათასი კაცია გასული საზღვარგარეთო, ან შიშველი გადარეულია ან რქიანი, ან კიდევ რქიან-გოიმები ქართველი ხალხი ვგონივართ!**

არა, იმას ნამდვილად არ ვამტკიცებ, რომ ახლები, დღიდან მიშას მოსვლისა, მუდამ ჩახუტებულები იყვნენ ნაცებთან, რაღაც „გამონათებები" ახლებისაც შეიძლება გავიხსენოთ, მაგრამ ადგილობრივ არჩევნებში ალიანსური ფიასკოს და ე.წ. „რვიანში" უშედეგო პოლიტიკური ონანიზმის შემდეგ, ნერვებმა და მოთმინებამ უმტყუნათ. ჰოდა, „ნატვრის ხიდან" ერთი მძინარა პერსონაჟის პერიფრაზით, ეტყობა ახლებმაც იფიქრეს — ამ ნაცებს ჩვენ მაინც ვერ გავასწორებთ და მილიონი რაღად დავიკლოთო და ციციკორეს ნავში უსირცხვილოდ ისკუპეს!

მერე, „მადა ჭამაში მოდისო" და, ხელისუფლების მიერ 5 მილიონით (!!!ძ დაფინანსებული სიების დამდგენი კომისიის თავმჯდომარეობაზეც არ თქვეს უარი, რითიც საბოლოოდ მოიჭრეს საზოგადოებასთან დაბრუნების გზები!

**რაც შეეხება ედპ-ს, ერთ დროს მართლაც ეროვნულიც და დემოკრატიულიც, ნელ-ნელა იმდენად დეგრადირდა, რომ მისი ახლანდელი ლიდერების ბაჩუკი ქარდავასა და გურამ ჩახვაძის ხელში, უკვე ანეკდოტის ჟანრშიც ველარ ჯდება და, როგორც იტყვიან — „გასულები არიან მომსახურების ზონიდან".**

მიუხედავად ამისა, თბილისური ჟარგონით, „რეშკაზე მაინც არ ეცემა" ბაში-აჩუკი და ისეთი სლოგანი მოუგონა პარტიას, რომ, „ნუ იტყვი" ისეა საქმე...

**არა — რუსეთს!**

ამის გამგონე პუტინმა თურმე — ოღონდაც ეგ ბაჩუკი დამიწყნარეთო და „ნი ტო ჩტო" აფხაზეთ-სამაჩაბლოს დავუბრუნებ ქართველებს, „პახოდუ" სოჩსაც ვუფეშქაშებ „ლიჩნად" ბაჩუკისო და მაგის პრეზიდენტის ერთი ადგილით ჩამოკიდების განზრახვაზეც უარს ვიტყვიო!

იქით პარტია „ჩვენ თვითონ"-ის ლიდერი, პაატა დავითაია აღნავლებულა — **მე თვითონ რა, თარგამაძეზე ნაკლებად გავისაპნე თავი, ასე რომ მიმაგდეთო?** და ვიღაც ნაცმოელს გახსენებია — ეგ ის ბიჭია, რომ თქვა — „აბა იმას ხომ არ ვიტყვი, მიშამ დაიწყო ომიო" და მთელი პარტია ვერა, მაგრამ თავად ნაპროკურორალი პაატა კი ჩააკვეხეს ქდმ-ს სიაში.

აქეთ პადოშაა ჯერჯერობით უპატრონოდ დარჩენილი. პადოშა, რომელმაც საკუთარი შედევრის, ე.წ. პატრიოტის აქტის ამოქმედება მოითხოვა სასწრაფოდ, რადგანაც „ქართული ოცნების" სიაში მოხვედრილ კომუნისტებისდროინდელ ჩინოვნიკებს უნდა აეკრძალოთ არჩევნებში მონაწილეობა, **საინტერესოა, პროკურორ პაატა დავითაიაზე გავრცელდება პატრიოტის აქტი?**

ვნახოთ, თუმცა პადოშას და მისი პარტიის მშვენებას მაია (სერგოძ ორჯონიკიძეს რომ რაღაცას „გაუიმასქნებენ", ალბათ ახლავე ცხადია...

სალადაოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე. ამიტომ სერიოზულად თუ ვიტყვით, რეალური ოპოზიციის, საზოგადოებრივი აზრის სამიზნე, ნაცებთან ერთად, ე.წ. ფსევდოოპოზიციაც უნდა იყოს. მათ ფეხქვეშ მიწას თუ არ დაწვავენ, როგორც მინიმუმ დებატებში არ უნდა დაუჯდნენ „ქართული ოცნების" წარმომადგენლები.

თორემ რა გამოდის, თუ იმასთან ჯდები ეთერში, ვისაც ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებასთან ალიანსში დასდო ბრალი, ის მაინც უთხარი, რომ ოპოზიციად არ თვლი და როგორც ხელისუფლებას ისე ელაპარაკე. თანაც ყოველგვარი ლირიკულობის გარეშე — „პიროვნულად პატივს გცემ, მაგრამ და ა.შ.

**ანუ, არა ისე, როგორც, უკაცრავად პასუხია და ეკა ბესელიამ თავი წაუხარა ინგა გრიგოლიას და ინგამაც ხომ იქაქანა და იქაქანა და მერე „იქანა" ისე „განაგლდა", რომ — სოსო ჯაჭვლიანის კანდიდატურა მოხსენით და მე დამტოვეთ გლდანში მარტოო.**

მაგათთან, როგორ უნდა ლაპარაკი, გასულ პარასკევს მაესტროზე კახა კუკავამ ჩაუტარა მასტერკლასი მამუკა კაციტაძეს და გურამ ჩახვაძეს!

**შეატყობდით, ალბათ, რომ ჯერჯერობით არაფერი მითქვამს ლეიბორისტებზე და არც ვაპირებ, რადგანაც წაქცეულს აღარ ურტყამენ, როგორც იტყვიან, თავისი გაჭირვება ეყოფათ საწყლებს...**

დავით მხეიძე





# „ქართული ოცნების“ თეზისებმა პროგრამის სახე მიიღო

**„ქართული ოცნების“ 70-გვერდიანი საარჩევნო პროგრამა ქვეყნის განვითარების ძირითად სფეროებს მოიცავს. პროგრამის თანახმად, საქართველოს ხელისუფლება მზად უნდა იყოს, მოელაპარაკოს დე ფაქტო ხელისუფლებათა წარმომადგენლებს, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპირებულ რეგიონებში ჩატარებული არჩევნები არალეგიტიმურია.**

ამასთან, რუსეთი აქტიურად უნდა იქნას ჩართული მოლაპარაკებების პროცესში და საქართველო მზად უნდა იყოს გონივრული კომპრომისებისთვის.

ივანიშვილის შეთავაზება ისეთია, რომ **უნდა მოხდეს ეკონომიკური პროექტების რეალიზაცია, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების დეკლარაციებში აისახება. ამავდროულად, „ქართული ოცნების“ პროგრამის მიხედვით, კონფლიქტების მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეკისროს არასამთავრობო ორგანიზაციებს.**

პროგრამაში, ასევე, აღნიშნულია, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საზოგადოებების ურთიერთგაუცხოების პროცესი. ამ ტენდენციას ხელს უწყობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საზოგადოებათა უნდობლობა საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, რასაც რუსული პროპაგანდა ადვილად აღრმავებს ოფიციალური თბილისის აგრესიული რიტორიკისა და პროვოკაციული მოქმედებების ფონზე.

**„ავარიდოთ შვილებს ომის საფრთხე“, — სწორედ ეს უნდა იყოს ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოების საერთო ლოზუნგი.**

კოალიცია ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების მომხრეა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მთავარ საფუძვლად საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას ასახელებს. **პროგრამის მიხედვით, საქართველომ უნდა გაიზიაროს ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც მსოფლიო დგას და გააგრძელოს საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება.**

„ქართული ოცნების“ პროგრამაში საუბარია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაზეც, რომელიც მჭიდრო კულტურულ თანამშრომლობას უნდა ეფუძნებოდეს და არ უნდა იქნეს გამოყენებული რუსეთთან დაპირისპირების გასალმავებლად. გარდა ამისა, საქართველომ რეგიონში ინტერესების გამაერთიანებლის ფუნქცია უნდა შეიძინოს და თურქეთთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები გააღრმავოს.

ამასთან, **„ქართული ოცნება“ განათლების სისტემის არაპოლიტიზებულობას გვთავაზობს. სკოლის პოლიციური რეჟიმისგან გასათავისუფლებლად კი, მანდატურის ინსტიტუტის არა გაუქმებას, არამედ მისი შინაარსის ცვლილებას მოახდენს.**

კოალიცია აკრიტიკებს ხელისუფლებას „მეცნიერებისადმი არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულების“ გამო. **„სახელმწიფომ თითქმის სრულად მოიხსნა პასუხისმგებლობა ქვეყანაში მეცნიერების განვითარებაზე,“** — ნათქვამია დოკუმენტში.

საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში ცალკე თავი ეძღვნება საკითხს ოჯახის ინსტიტუტის სტიმულირებას, მათ შორის, მრავალშვილიანი დედებისთვის დაწესებულ შეღავათებს; მცირე ბიზნესის დაწყებაში ოჯახის ჩაბმულობის მხარდამჭერას და სხვა.

საარჩევნო პროგრამის თავში შესულია კომუნალური მომსახურების ტარიფების საკითხიც. რეალურ გათვლებზე დაყრდნობით მოხდება ტარიფების ოპტიმიზაცია და სტაბილურობა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, 1-მილიარდიანი „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ დაარსდება. **„ქართული ოცნება“ ამომრჩეველს სოფლის მეურნეობის ხელახლა აშენებასა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ცხოვრების დონის ამაღლებას ჰპირდება. მათი თქმით, ლიბერტარიანული პოლიტიკა არც ერთ ქვეყანაში არ ამართლებს, ხელისუფლების კურსი დამახინჯებული ლიბერტარიანიზმია. პროცესის გაუმჭვირვალობის გამო „ქართული ოცნება“ ხელისუფლების პრივატიზაციის პროგრამებს აკრიტიკებს.**

„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის შესახებ **Forge** პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს ესაუბრა.

„ქართული ოცნების“ პრესსპიკერი მაია ფანჯიკიძე აცხადებს, რომ, იანვრიდან მოყოლებული, ამ პროგრამაზე საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ ჩართული ექსპერტთა მრავალრიცხოვანი თემატური ჯგუფი მუშაობდა. ჯგუფებში 500-ზე მეტი ადამიანი იყო გაერთიანებული. მოგვიანებით, თემატური ჯგუფების მიერ შექმნილი ათასობით გვერდი შემცირდა და პროგრამის სახე მიიღო. ამ პროცესზე, ასევე, მუშაობდა რედაქტორთა ჯგუფი. პროგრამის პრიორიტეტი კი არის ის, რაც ყოველთვის ისმოდა „ოცნების“ ლიდერებისგან. კერძოდ, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება, დასაქმება, საგარეო ურთიერთობები, ქვეყნის მოწყობა“.

რაც შეეხება საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთ თეზისს, რომ **საქართველოს ხელისუფლება უარს იტყვის დასავლეთისაგან მიღებული ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერით უპასუხისმგებლო სარგებლობაზე და მოკავშირეებისაგან მიღებულ დახმარებას დემოკრატიულობის გაზრდილი ხარისხით უპასუხებს,** მაია ფანჯიკიძე განმარტავს: სწორედ უპასუხისმგებლო სარგებლიანობას ეწევა ჩვენი ხელისუფლება. რეალურად კი, აბსოლუტურად ყველაფერზე უნდა არსებობდეს საჯარო სახალხო კონტროლი.

ჩვენს შეკითხვაზე, რა განსხვავება იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამასა და ნაციონალების პროგრამას შორის, მაია ფანჯიკიძე აცხადებს, რომ გასული ცხრა წლის განმავლობაში ნაციონალებს ჰქონდათ ბევრი დაპირება, მაგრამ არც ერთი არ შეუსრულებიათ. „ქართული ოცნების“ პროგრამა კი სწორედ იმითაა განსაკუთრებული, რომ ყველაფერი, რაც იქ წერია, აუცილებლად შესრულდება. თუმცა, მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, ნაციონალების პროგრამა ჯერ არ უნდა იყოს გამოქვეყნებული.

ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი **Forge**-სთან საუბარში არ მალავს, რომ მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაა. კერძოდ, მას აინტერესებს, თუ როგორ განაწილდება სოფლის მეურნეობაში საფინანსო საკითხები, სესხები, როგორი იქნება წყალმომარაგება, გზები, გაზიფიკაცია, ელექტრიფიკაცია, ელექტროენერგიის ტარიფები.

**„ამას ჩემთვის დღეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საგარეო პოლიტიკას, რადგან ჩემი ამომრჩევლები დღეს წყალტუბოელები არიან და მე მინდა, რომ მათ მოვემსახურო“.**

ხელისუფლებაში მწყობრი კავკასიური პოლიტიკის არარსებობას პაატა ზაქარეიშვილიც იზიარებს. მისი თქმით, ხელისუფლებას გალიზიანების პოლიტიკა აქვს. მათთვის მთავარია, კავკასიაში მშვიდობა კი არ იყოს, არამედ არეულობა და დაძაბულობა.

**„ამიტომ აღიარეს ჩერქეზების გენოციდი, მაშინ, როცა მსოფლიოში არავის ულიარებია. ეს ავანტიურისტული პოლიტიკაა. სააკაშვილის ავანტიურისტულ პოლიტიკას უნდა დაუპირისპირდეს მწყობრი, გაწონასწორებული, თანდათანობითი სტრატეგიული პოლიტიკა, სადაც რუსეთისა და საქართველოს ინტერესების თანხვედრა უნდა მოხდეს ჩრდილო კავკასიაში. ეს რუსეთის ტერიტორიაა და, ჩვენ კეთილი უნდა ვინებოთ, და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და, პირველ რიგში, ევროკავშირის მხარდაჭერით, ხელი შევუწყოთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არეულობა არ იყოს. ხელები კი არ უნდა ვაფათუროთ ჩრდილო კავკასიის პოლიტიკაში, არამედ ხელი შევუწყოთ მშვიდობის დამყარებას, რადგან კავკასიაში არეულობა ჩვენს წინააღმდეგაც იმუშავებს“.**

ამასთან, ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ დასავლეთი ჩვენგან გარკვეულ ნაბიჯებს ელოდება, სააკაშვილი კი მათ ყოველთვის ფაქტის წინაშე აყენებდა. კერძოდ, დასავლეთი მას სთხოვდა, არ აყოლოდა რუსეთის ავანტიურას და არ ჩართულიყო საომარ მოქმედებაში, რაშიც სააკაშვილი მაინც ჩაერთო. ახლა ეუბნებიან, რომ დემოკრატიული მაჩვენებელი გაზარდოს, პარტიებს ნუ აყადაღებს და მათ ნუ ებრძვის, ის კი დასავლეთის ამ რეკომენდაციებს ეწინააღმდეგება. მეტიც, ზაქარეიშვილის შეფასებით, როგორც კი ჩვენს ხელისუფალს დასავლეთის რეკომენდაციები არ მოეწონება, მაშინვე ამბობს, ლობისტები და არასამთავრობოები მუშაობენო.

**„დასავლეთი არასდროს აკრიტიკებს პროგრამებს, რადგან, როგორც წესი, საარჩევნო პროგრამები მოსაწონია. მას შემდეგ, რაც ჩვენს პროგრამას გაეცნობა, კიდევ უფრო უკეთესი წარმოდგენა შეექმნება დასავლეთს „ქართულ ოცნებაზე“. რაც შეეხება ნაციონალების პროგრამას, მე მას არ ვკითხულობ, რადგან ნაციონალებმა დააქციეს ჩვენი ქვეყანა“,** — აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა.

მარიამ ლოლაშვილი



**ვინ — ვის?**

# მიუშისტებს საარჩევნო კოდექსის შეცვლა დასავლეთმა უკარნახა

**მიხეილ სააკაშვილმა მთელ საქართველოს კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო — პრეზიდენტი პარლამენტს „საარჩევნო კოდექსის“ 57-ე მუხლის მე-6 პუნქტის შეცვლის ინიციატივით მიმართავს. არსებული ნორმის თანახმად, თუ პოლიტიკური პარტიის მხრიდან სერიოზული ფინანსური დარღვევებია ან მან ანგარიში არ წარადგინა, შესაძლებელი ხდება, არჩევნებზე ამ პარტიის ხმები არ იყოს დათვლილი.**

მოქმედი კანონმდებლობით, **„თუ საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც მიიღებენ ამ კანონით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას, დადგენილ ვადაში არ წარადგენენ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს, ან თუ დადასტურდება კანონის მოთხოვნათა დარღვევა, ისინი სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა გააფრთხილოს წერილობით და უნდა მოსთხოვოს ხარვეზის შევსება და სათანადო დარღვევასთან დაკავშირებით დეტალური წერილობითი ინფორმაციის მიწოდება.**

**თუ სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ დარღვევა არსებითი ხასიათისაა და შეეძლო გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე, იგი უფლებამოსილია შესაბამის საარჩევნო კომისიას მიმართოს რეკომენდაციით, რათა მან მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს არჩევნების შედეგების ამ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების გაუთვალისწინებლად შეჯამება“.**

საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით პირველი განმარტებები უკვე გააკეთა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი მინაშვილმა.

**„ეს ფაქტობრივად, არჩევნებიდან პარტიის მოხსნას ნიშნავს. პრეზიდენტის ინიციატივით კი, ეს ნორმა კანონიდან ამოდის. პრეზიდენტის ინიციატივაა, რომ ამის ნაცვლად ჯარიმა დაწესდეს.**

**შემოთავაზებული ცვლილებით, თუკი პარტია ანგარიშს არ წარადგენს, ის 10 000 ლარით დაჯარიმდება. იმ შემთხვევაში კი, თუ ანგარიშს ხარვეზით წარადგენს და ამ ხარვეზს მითითების მიუხედავად, მაინც არ გამოასწორებს, მაშინ მას 3 000 ლარის გადახდა მოუწევს.**

**ჩვენი მიზანია, სამართლიან, თავისუფალ და კონკურენტულ არჩევნებში გავიმარჯვოთ, არჩევნებიდან პარტიის მოხსნა საჭირო არ გახდეს, დავამარცხოთ „ქართული ოცნება“ და სხვა პარტიები. რაიმე სახის ხელოვნური ბარიერის შექმნის მიზანი არც არასდროს გვქონია“,** — აცხადებს მინაშვილი.

ჯერჯერობით, არჩევნებამდე დარჩენილ დროში პარლამენტში სხდომების გამართვა ოფიციალურად დაგეგმილი არ არის, თუმცა ითქვა, რომ სექტემბრის შუა რიცხვებისთვის ერთი რიგგარეშე სხდომა ჩატარდება, იმედია, ეს ასეც მოხდება და აღნიშნული ინიციატივა ახალი პარლამენტის განხილვის საგანი არ გახდება.

იხ. 6 გვ.

## ვინ — ვის?

# მიშისტებს საარჩევნო კოდექსის შეცვლა დასავლეთმა უკარნახა



(მეხუთე გვერდიდან) ექსპერტი კახა კახიშვილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილება ორნაირად შეიძლება გაიგო.

**„ერთი მხრივ მას ჰყავს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელიც ვხედავთ, რომ პერმანენტულად აჯარიმებს და თითქმის გააკოტრა მისი პოლიტიკური კონკურენტი, მეორე მხრივ, სანქციის სახით ყველაზე დიდ, 10 ათასლარიან ჯარიმას სთავაზობს ფინანსური დარღვევებისთვის.**

**უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ცვლილებები ისევ და ისევ მმართველი პარტიის სასარგებლოდ იქნება გამოყენებული, რადგან კონტროლის პალატის საქმიანობა, მოქალაქეების ფიზიკური პირების, პოლიტიკური სუბიექტების დაჯარიმების თაობაზე, შერჩევით მიმდინარეობს, სახეზეა პირდაპირ შერჩევითი სამართალი და ვხედავთ, რომ ერთსა და იმავე ფაქტებზე მმართველი პარტიის მიმართ არანარი რეაგირება არ ხდება, გარდა იმ ვიზუალური დემონსტრაციული რამდენიმე ეპიზოდისა, რომელიც სჭირდებოდათ ისევ და ისევ უცხოელებისთვის, რომ ეჩვენებინათ რომ ერთნაირი მიდგომებია.**

**მეორე მხრივ, აბსოლუტური ბუნდოვანება კანონში, რომელიც დატოვეს შავ ხვრელებად და მოქმედებს მხოლოდ ოპონენტის საწინააღმდეგოდ.**

**თუ პრეზიდენტს სურდა, რომ პოლიტიკური სუბიექტები უფრო სამართლიან გარემოში ყოფილიყვნენ და არ მომხდარიყო მათ მიმართ ასეთი დევნა, მაშინ შეეძლო მიეცა მითითება და უფრო დაეხვეწათ კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის შეეკვეცათ უფლებამოსილება, ან რაღაც ჩარჩოში მაინც ჩაესვათ“,** — ამბობს კახიშვილი, რომელიც ეჭვობს რომ ეს ცვლილება ინიცირებულია ერთი მხრივ, საკუთარი პარტიისთვის, მეორე მხრივ — დასავლეთისთვის. **„სახელმწიფო აუდიტის სამსახური მას ისედაც არ ეხება, მაგრამ როდესაც წარადგენენ საბოლოო ანგარიშს, იქნება ალბათ ისეთი ხარვეზები, რომელზეც საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები გაამახვილებენ ყურადღებას“,** — აცხადებს კახიშვილი.

როგორც კახიშვილი ამბობს, ბოლო დროს ყველა საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის დასკვნაში იყო ასახული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების გადამეტება.

**„ერთი მხრივ, ის არ კვეცავს და ამ უფლებებს უტოვებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ასევე უტოვებს ბუნდოვან კანონს, რომლითაც სარგებლობს ეს სამსახური. მეორე მხრივ, ვირტუალურად იმის სადემონსტრაციოდ, რომ თითქოს მიდგომები შეიცვალა, ასეთ ინიციატივას სთავაზობს“,** — მიიჩნევს კახიშვილი.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ, შალვა შავგულიძეს ასეთი საკანონმდებლო ინიციატივა შთაბეჭდილებას უქმნის, რომ სწორედ პრეზიდენტის პარტია, „ნაციონალური მოძრაობა“ ვარაუდობს, რომ მათ დასჭირდებათ დანახარჯების დაფარვა, ან მისი არასწორად წარდგენა.

**„შეეცდებიან, სხვადასხვა მანიპულაციებით მიღებული თანხები მაინც დათვლადი დარჩეს, ალბათ, ამ მიზნით შემოაქვს პრეზიდენტს ეს საკანონმდებლო ცვლილება, თორემ თუ სურვილი აქვს სააკაშვილს, რომ საარჩევნო კოდექსი გამოსწორდეს, კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილებებია საჭირო, მართლაც რომ არსებითად გამოასწორებს საარჩევნო გარემოს, თუმცა ამაზე არც პრეზიდენტი და არც დღევანდელი პარლამენტი არ ზრუნავს“,** — აცხადებს შავგულიძე.

ასეთი ლმობიერი ინიციატივა არჩევნების წინ თანაც მიხეილ სააკაშვილისგან დიდად გასაკვირია, თუმცა პოლიტიკოსები თვლიან, რომ სააკაშვილს ასეთი ინიციატივისკენ დასავლეთმა უბიძგა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი ლევან ბერძენიშვილი თვლის, რომ არსებული კანონის ეს მუხლი კატასტროფული იყო საქართველოსთვის, ვინაიდან პრეზიდენტს თუ გაუხარდებოდა, ნებისმიერ დღეს გამოაცხადებდა, რომ ამა თუ იმ პარტიამ დაარღვია ფინანსური წესრიგი, ზედმეტი დახარჯა და ამიტომ მისი ხმები არ დაითვალოთ.

**„ეს იქნებოდა კატასტროფა, რადგან ვინმე, თუნდაც პატარა პარტია მონაწილეობდეს არჩევნებში და პრეზიდენტს უნდა თუ არ უნდა, მის ხმებს ან ითვლიდნენ, ან არა. ამაზე დიდი ხანია ლაპარაკობდა ოპოზიცია და ხმას იღებდა დასავლეთიც, რადგან ასეთი საფრთხე არსებობდა. არ გამოვრიცხავ, რომ დასავლეთის გავლენა იყოს ცვლილებათა ამ პროექტში, რომელიც გათვლილია იმაზე, რომ უსიამოვნო და დრაკონული კანონი შეიცვალა“,** — აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

დიდი ხანია, მიჩვეულები ვართ, „ნაციონალური მოძრაობა“ რასაც იტყვის, კვერს უკრავს ყველა სახელმწიფო უწყება, ამდენად, ძნელი სათქმელია, „ნაციონალებს“, რომლებიც ბიუჯეტსაც კი ისე ხარჯავენ, რომ ვერავინ აკონტროლებს, ფინანსური ანგარიშის წარდგენა გაუჭირდეთ. თუმცა, სხვა საქმეა, რა მოხდება, თუ ისინი არჩევნებს წააგებენ. შესაძლოა, ეს ერთი მხრივ, თავის დაზღვევადაც მოგვეჩვენოს, თუმცა სავარაუდოდ, დასავლეთის მითითების შესრულებას უფრო ჰგავს.

**„რაც შეეხება იმას, როგორ გამოიყენებს კანონს „ნაციონალური მოძრაობა“, ამაზე მარჩიელობა არ ღირს, რადგან „ნაციონალურ მოძრაობას“ კანონი არ ადარდებდა არასოდეს და მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა ეწერება საარჩევნო კოდექსში. ამიტომ, მგონია, ეს ცვლილება უფრო დასავლეთის კარნახითაა მომზადებული, ვიდრე სულით და გულით. „ნაციონალები“ ამ ცვლილებით დიდ სარგებელს ვერ ნახავენ. ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ არ წარმოადგინონ ფინანსური ანგარიში და ჯარიმა გადაიხადონ, არ მგონია რომ ასე გაუჭირდეთ მათ.მოქმედი კანონით მას შეეძლო ეთქვა, „ქართულმა ოცნებამ“ გადააჭარბა დასაშვებ ზღვარს, დახარჯა მეტი, ამიტომ კი ბატონო, არჩევნები ჩატარებულად ჩავთვალოთ, დავთვალოთ ხმები, მაგრამ „ოცნების“ ხმები არ დავთვალოთ და 180%-ით გაიმარჯვებდა ნაციონალური მოძრაობა.**

**ეს საფრთხე გამოირიცხება თუ მიიღებენ ამ ცვლილებას, ეს იქნება მათი ბოლო შეკრება ამ პარლამენტში, 2004 წლის პარლამენტი ამით ამთავრებს თავის მოღვაწეობას და როგორც ჩანს, უნდათ კონსტრუქციულ ნოტაზე დაამთავრონ“,** — მიიჩნევს ლევან ბერძენიშვილი.

„ქართული ოცნების“ წევრი მანანა კობახიძე თვლის, რომ პარტიის დისკვალიფიკაცია, მისი მოხსნა არჩევნებიდან ყველა შემთხვევაში საკმაოდ გადაჭარბებული სანქციაა.

**„ეს არის ძალიან ადვილად გამოსაყენებელი ბერკეტი ამ ხელისუფლების ხელში, შეუძლია, ნებისმიერი, მისთვის მიუღებელი ოპოზიციური პარტია მოხსნას არჩევნებიდან, გაუუქმოს საარჩევნო რეგისტრაცია, რაც ძალზე სერიოზული საფრთხის შემცველია. სწორედ ამიტომ, ეს სანქცია თუკი გაუქმდება, სწორია, რადგან მეტისმეტად მკაცრია, მაგრამ მეორე მხრივ თუ გავითვალისწინებთ რა რეალობაში ვცხოვრობთ, როდესაც უამრავი ფინანსური სანქცია დაეკისრა „ქართულ ოცნებას“, კოლოსალური თანხების ოდენობით, სრულიად უსაფუძვლოდ და უკანონოდ, მოგეხსენებათ სახელმწიფო აუდიტის მიერ დაკისრებული ჯარიმები აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო და ეს იყო მათი პოლიტიკურად მიღებული გადაწყვეტილება, თუ ამას გავითვალისწინებთ, კანონში რა ჩანაწერი იქნება, ეს ნაკლებად მნიშვნელოივანია, იმიტომ, რომ ამ კანონს ხელისუფლება აბსოლუტურად სათავისოდ და შერჩევით იყენებს. ამიტომ, საკანონმდებლო ცვლილებას ამ ქვეყანაში რაიმე შედეგი არ მოაქვს.**

**როდესაც ერთი მიმართულებით ერთი სუბიექტის წინააღმდეგ შერჩევით იყენებ კანონს, როცა სასამართლო არ გაქვს და კანონში ცვლილება შეგაქვს, ეს ბევრს არაფერს არ ცვლის.. მიმაჩნია, რომ ცვლილება, როგორც ჩანს, განაპირობა უცხოეთის მითითებამ“,** — აცხადებს მანანა კობახიძე.

**„იმ საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებში, სადაც ეწერა რომ ძალიან ცუდად მუშაობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელიც უნისონშია სასამართლოსთან, კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის დევნა განახორციელოს, დარწმუნებული ვარ, მეორე შუალედურ დასკვნაში გაჩნდება ჩანაწერი, რომ ამ ეტაპზე გაუმჯობესდა სახელმწიფოს მიდგომა ამ პრობლემის მიმართ და პრეზიდენტის ინიციატივით საარჩევნო კოდექსში შემოვიდა ასეთი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ლმობიერ ჯარიმას, მაგრამ ის კატასტროფული ჯარიმები რომ არავის არ აღუკვეთია, ამაზე არ იქნება დიდი აპელირება“,** — მიიჩნევს კახა კახიშვილი.

ლალი ზირაქიშვილი

## ინფორმაცია

### თავდაცვის სფეროს ახალი სახელმწიფო კონცეფცია

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი და თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, სამხედრო მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს შეხვდნენ. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა თავდაცვის სფეროში სახელმწიფოს ახალ „3T“-ს პრინციპზე (ტოტალური ზრუნვა, ტოტალური ტრენინგები და ტოტალური თავდაცვა) დაფუძნებული კონცეფციის ერთ-ერთ კომპონენტზე — „ტოტალურ ზრუნვაზე“ ისაუბრა.**

**ვანო მერაბიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ კონკრეტულ სარგებელზე, რომელსაც აღნიშნული კომპონენტი სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს სთავაზობს.**

**პრემიერ-მინისტრის განმარტებით, „ტოტალური ზრუნვა“ მოიცავს ჯანდაცვის, განათლების, დასაქმების, ფინანსური წახალისების, საცხოვრებელი ფართით და სოციალური შეღავათებით უზრუნველყოფის სფეროებს და გავრცელდება არამხოლოდ შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაზე, არამედ მათი ოჯახის წევრებსა და ვეტერანებზეც.**

**ჯანდაცვის კუთხით, ახალი კონცეფციის ფარგლებში მკვეთრად გაუმჯობესდება კონტრაქტზე მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების სადაზღვევო პაკეტი, ხოლო წვევამდელები სრულ სამედიცინო მომსახურებას მიიღებენ.**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ერთწლიანი სავალდებულო სამსახურის შემდეგ, ბაკალავრიატში 4-წლიან სწავლებას დაუფინანსებს ყველა იმ პირს, რომელმაც ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში, ვერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტი და ვერ იხდის სწავლის საფასურს. პირს, რომელიც საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს ოთხი წლით გააგრძელებს, დაუფინანსდება მაგისტრატურაში სწავლება.**

### პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან ტექნიკა და ავეჯი გააქვთ

**საქართველოს პარლამენტის შენობის დაცლის პროცესი გრძელდება. ამ დროისთვის სხდომათა დარბაზში ტექნიკის დემონტაჟი თითქმის დასრულებულია, დარბაზიდან გააქვთ ავეჯიც. პარლამენტის დერეფანში სხდომათა დარბაზიდან გატანილი სკამები და ხალიჩები აწყვია.**

**როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ჟურნალისტებს დარბაზში შესვლის საშუალება არ მისცეს და სხდომათა დარბაზის კარი ჩაკეტეს.**

**ამასთან, როგორც დარბაზიდან გამოსულმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, აპარატურა ქუთაისში არ გადააქვთ, რადგან იქ ახალი აპარატურა მონტაჟდება.**

**მომავალი მოწვევის პარლამენტი ქუთაისში გააგრძელებს მუშაობას. არსებული ინფორმაციით, თბილისში მდებარე შენობას გასაყიდად ამზადებენ.**

### ქართული ღვინისა და მინერალური წყლის რუსეთში დაბრუნების საკითხში მხოლოდ ტექნიკური ბარიერი არსებობს

**რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო კვლავ მზადყოფნას გამოთქვამს რუსულ ბაზარზე ქართული მინერალური წყლისა და ღვინის დასაბრუნებლად. მისი თქმით, შესაბამისი დოკუმენტები მრავალ ქართულ კომპანიას მოსკოვში წარდგენილი აქვს.**

**მისი თქმით, ხელოვნური ბარიერები ქართული ღვინისა და მინერალური წყლის რუსეთის ბაზარზე დასაბრუნებლად არ არსებობს.**

**— ტექნიკური არსებობს — ჩვენ უნდა ჩავიდეთ და ვნახოთ. ეს ეხება „ბორჯომსაც“ და „ღვინოსაც“, — განაცხადა ონიშჩენკომ და დასძინა, — ბაზარი გაიხსნება, მაშინ როცა ჩატარდება საწარმოთა ინსპექტირება, მაგრამ ამაში საქართველოს მმართველი ელიტა დაინტერესებული არ არის.**

ინტერპრესი

# საზარბაზნე ხორცი სხვის ომებში



**ისე მოხდა, რომ სხვის ომებში მონაწილეობის სამწუხარო ისტორიული ტრადიცია ოცდამეერთე საუკუნეშიც გრძელდება. ოფიციალური სახელისუფლო ვერსიით, ნატოს სამხედრო ოპერაციებში საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩართვა ნატოსკენ მიმავალ გზას ამოკლებს, თუმცა ნატოელი და მათთან ხმაშეწყობილი ამერიკელი მაღალჩინოსნები არაორაზროვნად მიანიშნებენ, რომ ნატოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა მსოფლიო დემოკრატიისთვის გაღებული წვლილია და ამას საქართველოს ნატოში წევრობა-არწევრობასთან არანაირი კავშირი არ აქვს.** თუმცა, ამის პარალელურად, არც მადლობის სიტყვებს იშურებენ და, თუ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულობის მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს გავითვალისწინებთ, ქართველი სამხედროები, რომლებიც ახლა უკვე ავღანეთის დემოკრატიულობისთვის სწირავენ თავს, ჩვენს ხელისუფლებას დემოკრატიული იმიჯის გაკეთილშობილებაში ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ.

ოფიციალური მონაცემებით, უკვე ჩვიდმეტი ქართველი სამხედრო დაიღუპა ავღანეთში და, რადგან ქართველები, ძირითადად, ჰელმანდის, ავღანეთის ყველაზე „ცხელ“ პროვინციაში მსახურობენ, არ არის გამორიცხული, რომ მსხვერპლის რაოდენობა მხოლოდ 17-ზე არ შეჩერდეს. იმ მიზეზით, რომ თავდაცვის სამინისტრო თითქმის ჩაკეტილი სტრუქტურაა და ნებისმიერ ინფორმაციას ტაბუს ადებს, „აისაფის“ ოპერაციაში მონაწილე ქართველი სამხედროების შესახებ ინფორმაცია დახურულია, სამაგიეროდ, აბსოლუტურად გახსნილია „აისაფის“ ოფიციალური ვებ-გვერდი, რაც საინფორმაციო შიმშილის დაძლევაში დაგვეხმარება.

**„აისაფის“ ოპერაციაში, რომელიც ავღანეთში 2001 წლიდან მიმდინარეობს, სულ 29 ქვეყანა იღებს მონაწილეობას. ბუნებრივია, ყველაზე მრავალრიცხოვანი კონტინგენტი ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავს (90 000 სამხედრო მოსამსახურე), შემდეგ – დიდ ბრიტანეთს (9 500 სამხედრო მოსამსახურე), გერმანია 4 900 სამხედრო მოსამსახურითაა წარმოდგენილი, საფრანგეთი – 3 308, ესპანეთი – 1 481, თურქეთი – 1 327, ავსტრალია – 1 550, დანია – 692, კანადა – მხოლოდ 508, სომხეთი – 126, აზერბაიჯანი – 94, ხოლო მას შემდეგ, რაც იქ საქართველო, დაპირებისამებრ, დამატებით ძალებს გააგზავნის, ქართველი სამხედროების რაოდენობა 1 700-მდე გაიზრდება და, თუკი დღეს ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის, სამხედროთა რაოდენობით, პირველობას მხოლოდ ავსტრალიას ვუთმობთ (1 550 სამხედრო მოსამსახურე), უკვე მყარად დავიკავებთ საპატიო პირველ ადგილს.**

**ამ ათი წლის განმავლობაში ავღანეთის „აისაფის“ ოპერაციაში 3 113 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და, იმის მიუხედავად, რომ ოპერაცია 2001 წლიდან მიმდინარეობს, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა 2005 წლიდან იზრდება: 2005 წელს ავღანეთში 131 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, 2006 წელს – 191, 2007 წელს – 232, 2008 წელს – 295, 2009 წელს – 521, 2010-ში – 711, 2011-ში – 566, ხოლო 2012 წელს უკვე 266 სამხედრო მოსამსახურეა დაღუპული.**

**ყველაზე დიდი დანაკარგი ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს ჰყავს – 2 069 სამხედრო მოსამსახურე, დიდ ბრიტანეთს – 422, კანადას –159, საფრანგეთს – 86, გერმანიას – 53, იტალიას – 47, დანიას – 42, პოლონეთს – 35, ესპანეთს – 34, ავსტრალიას – 33, ნიდერლანდებს – 25, რუმინეთს – 19, საქართველოს – 17...**

ავღანეთში ყველაზე ცხელ წერტილებად ჰელმანდისა და ყანდაარის პროვინციები ითვლება. მათ „სიცხელეს“, ბუნებრივია, მსხვერპლის ოდენობა განაპირობებს. ამ პროვინციაში 835 სამხედრო მოსამსახურეა დაღუპული, ხოლო ყანდაარში – 497. ქართული სამხედრო კონტინგენტის დიდი ნაწილი ჰელმანდის პროვინციაშია დისლოცირებული (ისინი იქ ამერიკელებთან ერთად იბრძვიანძ და სწორედ იქ დაიღუპა ჩვენი 17-ვე სამხედრო მოსამსახურე, მეორე, შედარებით მცირერიცხოვანი შენაერთი კი ქაბულის აეროპორტის მიდამოებშია ბაზირებული (სადაც ფრანგებთან ერთად არიანძ.

ქართველი დაჭრილების შესახებ ინფორმაცია თითქმის არ არსებობს, როგორც სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი ამბობს, დაჭრილების შესახებ ინფორმაციას ვიგებთ, იმ შემთხვევაში, თუ ის ჭრილობების გამო იღუპება ან მის სანახავად „ჰოლივუდის“ ვარსკვლავი თუ რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლე მიდის.

რატომ მსახურობენ ქართველები, მაინცდამაინც, ჰელმანდის პროვინციაში და შეიძლებოდა თუ არა მათთვის შედარებით უსაფრთხო ადგილის გამონახვა ავღანეთში, მით უფრო, რომ საქართველო ნატოს წევრი არ არის (ესე იგი, არ აქვს „აისაფის“ ოპერაციაში მონაწილეობის მიღების ვალდებულებაძ და ზოგიერთი არაწევრი ქვეყანაც კი მხოლოდ სიმბოლურად იღებს მონაწილეობას (სხვათა შორის, იმავეს თქმა შეიძლება ნატოს წევრ ქვეყნებზეც, რადგან, მაგალითად, **ნატოს წევრ ესტონეთს – 153 სამხედრო მოსამსახურე ჰყავს, ლიტვას – 245, ლატვიას – 175)?!**

**ირაკლი ალადაშვილის აზრით, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებამ თავის დროზე თანხმობა განცხადა, რომ სწორედ ჰელმანდის პროვინციაში გაეგზავნა თავისი კონტინგენტი. ირაკლი ალადაშვილი: „ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას რამდენიმე მიზეზით ამართლებს: ჩვენ არა მარტო მიმღებები უნდა ვიყოთ ნატოსგან, არამედ გამცემებიცო, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით მე მხოლოდ გაცემას ვხედავ. ნატოს ოპერაციებში 2009 წლიდან ვაგზავნით კონტინგენტს და ამას ჩვენთვის არაფერი კარგი არ მოუტანია. უფრო მეტიც – ჩვენი 2 000 სამხედრო ერაყში იყო, როდესაც მტერი გვიტევდა. ის ბრიგადა, რომელიც გორში უნდა მდგარიყო, იდგა ერაყში. გვაქვს იმის ფუფუნება, რომ დღეს 1 700-მდე სამხედრო მოსამსახურე გააგზავნო საქართველოდან შორს?!“**

ირაკლი ალადაშვილის პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია და ის თავის პოზიციას ორი არგუმენტით ამყარებს: **„ჯერ ერთი, ეს 1700 სამხედრო მოსამსახურე საქართველოს სახმელეთო ჯარების, დაახლოებით, 10 პროცენტია. ამასთან, როტაციის დროს მათი ბრძოლისუნარიანობა ეცემა. მეორე – შესაძლოა, უცბად დაგვჭირდეს მათი ჩამოყვანა. განსხვავებით ერაყისგან, როდესაც ამერიკელებმა სამ დღეში მაინც მოახერხეს ჩვენი კონტინგენტის ჩამოყვანა, დღეს ეს უფრო რთული იქნება, რადგან, თუ ერაყში ჩვენები, ძირითადად, განთავსებული იყვნენ ალკუტის აეროპორტის სიახლოვეს და მათი შეყვანა იმ ძირითად აეროდრომზე მეტ-ნაკლებად ადვილი იყო, ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში აეროდრომის პრობლემაა“.**

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰელმანდის პროვინციაში მყოფი ქართული სამხედრო კონტინგენტის აეროპორტის ტერიტორიაზე თავმოყრა მოხერხდა, მათი საქართველოში ტრანსპორტირებისთვის რამდენიმე თვითმფრინავია საჭირო, რადგან თითოში მხოლოდ 300-300 სამხედრო მოსამსახურე თუ დაეტევა თავის აღჭურვილობიანად.

ირაკლი ალადაშვილი: **„მათი აეროდრომებამდე მიყვანაც სახიფათოა, რადგან თალიბები დაინახავენ ამ აქტიურობას და გზებზე დივერსიული აქტების მოწყობას შეეცდებიან. მეორე მხრივ, ცალკე პრობლემაა მათი გადმოყვანა საჰაერო გზით. ავღანეთის საზღვარი პირდაპირი ხაზით, დაახლოებით, 1500 კილომეტრითაა დაშორებული საქართველოს საზღვრიდან, მაგრამ თვითმფრინავები, როგორც წესი, პირდაპირი ხაზით არ დაფრინავენ. ირანის საჰაერო სივრცის გამოყენება გამორიცხულია, ამერიკული თვითმფრინავები ირანზე ვერ გადმოფრინდებიან. ყველაზე ახლოსაა თურქმენეთი, ასევე, შესაძლებელია, უზბეკეთი-ყაზახეთის საჰაერო გზების გამოყენება. თუ რუსული აგრესია დაიწყება, ბუნებრივია, ჩვენები მოინდომებენ ჰელმანდიდან სამხედრო კონტინგენტის გამოძახებას, მაგრამ უზბეკეთმა და ყაზახეთმა რუსეთის ზეწოლით შესაძლოა, ამერიკულ თვითმფრინავებს საჰაერო სივრცე ჩაუკეტონ“.**

ნატოს სამხედრო ოპერაციებში ქართველი სამხედროების მონაწილეობის ერთ-ერთ გამართლებად და აქედან მიღებულ ხეირად მათ მიერ სამხედრო გამოცდილების მიღება სახელდება. ამ ფაქტს არც ერთი სამხედრო ექსპერტი არ უარყოფს, თუმცა საკითხი – შეესაბამება თუ არა ქართველი სამხედროების მიერ, თავდაპირველად, ერაყში, ახლა კი, ავღანეთში მიღებული სამხედრო გამოცდილება საქართველოს წინაშე არსებულ სამხედრო საფრთხეებს – ბუნდოვანია.

მეორე მხრივ, ცნობილია, რომ „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან ახორციელებს, ქართველ სამხედროებს ამერიკისა და ნატოს სამხედრო ამოცანების შესასრულებლად ამზადებს (ცნობისთვის: **საქართველომდე ანალოგიური პროგრამა ამერიკელებმა ნიგერიაში განახორციელეს). ეს ფაქტი დავით თევზაძემაც აღიარა, ოღონდ მხოლოდ თავდაცვის მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ. იგივე ითქმის ავღანეთში მიმდინარე „აისაფის“ ოპერაციაზეც. როგორც ირაკლი ალადაშვილი ამბობს, ავღანეთში გადასროლის წინ ქართველი სამხედროები მომზადებას გადიან ადგილზე. შემდეგ მათ აგზავნიან გერმანიაში სპეციალური მომზადების ცენტრში, სადაც ამერიკელები და ოპერაციაში მონაწილე სხვა ქვეყნების სამხედროები ემზადებიან ავღანეთში წასასვლელად და მხოლოდ ამის შემდეგ ხვდებიან ისინი, ყველანი, ავღანეთში, მაგრამ ამ მომზადებას აქვს მხოლოდ ერთი მიმართულება: მომზადება ასიმეტრიული ომისთვის, ანუ იმ ანტიპარტიზანული მოქმედებებისთვის, რაც ავღანეთში ხდება.**

ირაკლი ალადაშვილი: **„ასიმეტრიული მომზადება ნიშნავს, რომ ერთ მხარეს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თალიბებს, თითქმის არაფერი აქვთ ავტომატის, ყუმბარსატყორცნისა და ასაფეთქებლის გარდა, „აისაფის“ ძალებს კი აქვთ ყველაფერი: კოსმოსური თანამგზავრები, უპილოტო თვითმფრინავები, ტანკები, არტილერია.. ჩვენს სამხედროებს, რომლებიც ავღანეთის ბრძოლებში იღებენ მონაწილეობას, მუდმივად აქვთ საჰაერო დახმარების იმედი. არადა, ჩვენს ტერიტორიაზე რომ მოგვიწიოს ბრძოლა, ვინ დაგვეხმარება – ჩვენ ხომ არ გვექნება მხარდაჭერა კოსმოსიდან? ვერც ჩვენი ავიაცია იბატონებს, არც ტანკისა და არტილერიის იმედი უნდა გვქონდეს, რადგან ჩვენს სავარაუდო მოწინააღმდეგეს ამაში უპირატესობა ექნება. ანუ გამოდის, რომ მოქმედების ტაქტიკა, რაშიც ჩვენები ვარჯიშობენ და რასაც იყენებენ კიდეც, ჩვენს სიტუაციაში ნაკლებად გამოსადეგია. ეს გამოცდილება მაშინ იქნებოდა გამოსადეგი, ჩვენ რომ სეპარატისტულ ტერიტორიებს ვაკონტროლებდეთ, სადაც ისინი იმოქმედებდნენ პარტიზანულად. ჩვენ, რა თქმა უნდა, გამოგვადგება ანტიპარტიზანული მოქმედების ტაქტიკა, მაგრამ დღეს ეს რეალობიდან შორს არის“.**

**დღეისთვის უკვე რამდენიმე ათასმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო საბრძოლო გამოცდილება ერაყსა და ავღანეთში, თუმცა მათ მიერ მიღებულ გამოცდილებას ამ ეტაპზე საქართველო ვერ გამოიყენებს, ყოველ შემთხვევაში – ეფექტიანად. მეორე მხრივ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მათ ვინც ერთხელ უკვე იყო ავღანეთში, იქ მეორედ წასვლის სურვილი არ აქვს. მეტიც, კონტრაქტის დასრულებას ელოდება, რომ დატოვოს საქართველოს შეიარაღებული ძალები, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გამოცდილებას ვერც ეფექტიანად და ვერც არაეფექტიანად საქართველოს სახელმწიფო ველარ გამოიყენებს.**

მიხეილ ბოლქვაძე,

**For.ge**

## ინფორმაცია

### პარლამენტართა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა შეჩერებულია

**წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩაზე, სადაც ქუთაისში მივლინებული პარლამენტარებისათვის საცხოვრებელი სახლები უნდა აშენებულიყო, სამუშაოები შეჩერებულია. ტერიტორიაზე, რომელიც პარლამენტართა სახლების ასაშენებლად განისაზღვრა, ამ ეტაპზე ის ჯგუფი იმყოფება, რომელიც წყალტუბოში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს.**

**წყალტუბოს ხელმძღვანელობამ პარლამენტარებისათვის საცხოვრებლების მშენებლობის დაწყების განცხადება ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში გააკეთა. წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა სალარეიშვილი მაშინ აცხადებდა, რომ სამუშაოები დაიწყო და პარლამენტარებისათვის სამი ხუთსართულიანი კორპუსი დაჩქარებული წესით აშენდებოდა.**

**კორპუსების ასაშენებლად კი წყალტუბოში „საქართველოს ბანკის“ ყოფილი ტერიტორია და სანატორიუმი „ცისკარი“ შეირჩა, საიდანაც დევნილი ოჯახები ახლადაშენებულ კორპუსებში გადაიყვანეს. დევნილების თქმით, პარლამენტის ვიცე–სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა და რაიონის ხელმძღვანელობამ გასულ წელს აღნიშნული ტერიტორია რამდენჯერმე დაათვალიერეს.**

**რაიონის ხელმძღვანელობის განცხადებების მიუხედავად, პარლამენტართა საცხოვრებლების მშენებლობის პროცესი ტერიტორიის შემოღობვითა და ტერიტორიაზე რამდენიმე თხრილის გაკეთებით შემოიფარგლა. მიმდინარე წლის ზამთარში, სამუშაოების შეჩერების მიზეზად წყალტუბოს ხელმძღვანელობა უამინდობას ასახელებდა, თუმცა მას შემდეგ ტერიტორიაზე არაფერი შეცვლილა.**

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, რომელიც პარლამენტართა სახლების მშენებლობის საკითხს კურირებს, დეპუტატების საცხოვრებლებთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.**

**News.ge**

# ვინც ინფორმაციას მართავს, მსოფლიოსაც ის ფლობს

**საინფორმაციო ომები — გეოპოლიტიკური დაპირისპირების ახალი სტრატეგია, ევოლუციური ნახტომია, რომელმაც მსოფლიო რესურსებისათვის ბრძოლის არსი შეცვალა.**

გასულმა მეოცე საუკუნემ და ახალი ასწლეულის დასაწყისმა მნიშვნელოვნად შეცვალეს შეხედულება გლობალურ დაპირისპირებაზე. თავდაპირველად კაცობრიობამ გამოიგონა ატომური იარაღი, ფაქტობრივად, მოახდინა სამხედრო ძალის ნიველირება იმ დროისთვის ჩვეულებრივი გაგებით. უკვე არა გამოცდილი ჯარისკაცები, არა ტანკები და არა თვითმფრინავები უნერგავდნენ შიშს მოწინააღმდეგეს, არამედ პოტენციური მტრისადმი დამიზნებული ქუბინების ოდენობა.

მაგრამ ატომური იარაღიც დაძველდა დღეს. დემოკრატიამ და ინტერნეტმა ადვილად შეცვალეს სასიკვდილო რადიაცია. არა გამანადგურებელი ძალით, არამედ ზემოქმედების შედეგებით.

მაგრამ ადამიანის ყველა გამოგონების სპეციფიკა ისეთია, რომ თითქმის ყოველთვის აქვს ორმაგი დანიშნულება. იგივე ატომი არა მხოლოდ კლავს, არამედ აქტიურად გამოიყენება მედიცინაში და საშუალებას გვაძლევს გადავარჩინოთ ადამიანის სიცოცხლე. ასევეა დემოკრატიაც იმის მიხედვით, თუ ვინ და რა მიზნით იყენებს მას, არის შემოქმედებითიც, შეიძლება განიზომოს აგრეთვე ტროტილურ ეკვივალენტში.

ამ სიტუაციაში, უნდა ვაღიაროთ, აღარ გვჯერა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა. ნებისმიერი საგარეო-პოლიტიკური მოვლენა იძენს იმდენი ოდენობის ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებს, რომ არსის ამოცნობა ხდება მეტად და მეტად რთული. ამასთან დაკავშირებით მინდა ვურჩიო ყველას, რომ ყოველთვის დავეყრდნოთ მხოლოდ შემოწმებულ ფაქტებს, გვერდზე გადავდოთ შეფასებითი მსჯელობები.



ავიღოთ მაგალითად, ყაზახეთი. ბოლო ხანებში ამ ქვეყანას გაუხსნეს გრიგალისებური ცეცხლი საინფორმაციო იარაღის ყველა სახეობიდან. მე ვიცნობ ამ რესპუბლიკას, და არა ყურმოკრულად, ვინაიდან არაერთხელ ვყოფილვარ ასტანაში საქმეზე, გაოცებული ვიყავი, როდესაც ვკითხულობდი ბევრ ისეთ რამეს, რასაც ისე გაწვდიან, თითქოს ეს იყოს უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტება.

მაშ ასე, მთავარი საინფორმაციო საბაბი, რაც აქტიურად მუსირებს პრესაში — ეს არის მოვლენები ამ ქვეყნის დასავლეთში და მათი შედეგები. აგიხსნით. პატარა ქალაქ ჟანაოზენში, რომელიც კასპიის სანავთობო ზონაში მდებარეობს, მოხდა ბუნტი. ქალაქში უწესრიგობანი დაიწყო, გრძნობადაცლილი მასა წვავდა, ძარცვავდა ყველაფერს, სცემდა ყველას, ვისაც გადაეყრებოდა. პოლიცია იძულებული გახდა, გაეხსნა ცეცხლი — დაიღუპა 15 კაცი. ეს ფაქტია.

მეორე ფაქტი — ყაზახეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ ზოგმა პოლიციელმა გადააჭარბა უფლებამოსილებას. დამნაშავეები გასამართლებული არიან. და აი, რა არის დამახასიათებელი — ისინი არავის დაუცავს. თუმცა, წესრიგის დამცველები აღმოჩნდნენ არაერთგვაროვან სიტუაციაში, ამოცანა იყო ან დაეშალათ ბრბო, ან გაქცეულიყვნენ, დაეტოვებინათ ქალაქი ძარცვისა და განადგურებისათვის. არავინ დაფიქრებულა იმაზე, რამდენი დაზარალებული იქნებოდა ამ შემთხვევაში... და არ გამიკვირდება, რომ პოლიციელებს ამ შემთხვევაშიც გაასამართლებდნენ, ოღონდ მოვალეობის შეუსრულებლობის გამო.

დიახ, თუ ქვეყნის დემოკრატიულობაზე ვიმსჯელებთ პოლიციელების რეზინის ტყვიებისა და წყალმფრქვევების რაოდენობის მიხედვით, რასაც იყენებდნენ იმ ბრბოს წინააღმდეგ, რომელიც შეიარაღებული იყო ცივი იარაღით, ცეცხლგამჩენი ნარევებით სავსე ბოთლებითა და შაშხანებითაც კი, მაშინ ყაზახეთი არ არის დემოკრატიული ქვეყანა. არ ყოფილა, ვთქვათ, აქ ადრე არც ერთი მასობრივი გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ. რესპუბლიკა სტაბილურია და პოლიცია მხოლოდ დანაშაულობას ებრძოდა, და ამიტომ არ იყო მზად მოვლენათა ასეთი შემობრუნებისთვის.

მესამე ფაქტი — განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ არა მხოლოდ პოლიციელები, არამედ ბუნტის მოთავეებიც, მათ აგებინებენ პასუხს სოციალური შუღლის გაჩაღებისთვის, მოწოდებებისთვის, დაამხონ მოქმედი ხელისუფლება. და აი, აქ — ხმა ამოიღეს ნასუქი ბლოგერების „მსხვილკალიბრიანმა ტყვიამფქვევებმა“, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა და სხვადასხვა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებმა. და თქვენ ასამართლებთ არა როგორც საჭიროა, პროცესიც გაუმჭვირვალეა და, საერთოდ, ჩვენ თქვენი არ გვჯერა...

ესე იგი მთელი ქალაქი გასწირეთ ძარცვა-დატაცებისთვის და, ოპოზიციის ლობიჯით, უნდა გაასამართლოთ მხოლოდ პოლიციელები, არსებითად დამცველები? ასე გამოდის?

სინამდვილეში ყველაფერი მეტად მარტივია — აქ ჩვენ ვხედავთ კლასიკურ საინფორმაციო ომს მოქმედებაში. მისი ამოცანა, პირველ ეტაპზე, არის საზოგადოების გათიშვა, მეორეზე — წესრიგის დამცველთა დემორალიზაცია და დამნაშავეთა რეაბილიტაცია. მთავარია, ყველაფერი თავდაყირა დააყენო, შეცვალო აქცენტი საზოგადოებრივ ცნობიერებაში ისე, რომ კონსტიტუციის გარანტი — ხელისუფლება — აღქმული იქნეს, როგორც ხალხის მტერი. ამ დროს მეამბოხეებიდან ძნელად რომ ვინმე დაფიქრდეს, თუ რით შეიძლება ეს დამთავრდეს...

ახლა განვიხილოთ ჟანაოზენში მომხდარი კონფლიქტის არსი, რათა საბოლოოდ დავუსვათ წერტილი ყველაფერს. აქ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იფიცებოდნენ მენავთობეები. მოითხოვდნენ ხელფასების მომატებას. ვინაიდან ყაზახეთში საშუალო შემოსავლების ფონზე ისინი ღებულობდნენ საკმაოდ ნორმალური ოდენობის ფულს, პოტენციურ პრობლემას არასერიოზულად მოეკიდა ადგილობრივი ხელისუფლება. სანავთობო ხელმძღვანელებმა კი დაუშვეს მიუტევებელი სისულელე — გაათავისუფლეს გაფიცულები. აი, აქ კი დაიწყო ნამდვილი საპროტესტო განწყობილების მომწიფება, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ზუსტად საამისოდ შემთხვევით წარმოჩენილი უსისტემო ოპოზიცია. და რა იქნებოდა, გაემართათ დისკუსია ხელისუფლებასთან დიალოგის სახით, ყაზახეთში ეს არავის დაუგმია. არადა აძვრნენ ბარიკადებზე. აქვე ოპოზიციონერი კოზლოვი, რომელსაც ასამართლებენ ყაზახეთში და ვისგანაც ოპოზიცია დღეს ხატს ქმნის — აწარმოებს აქტიურ მუშაობას, რომელიც ვითარების დესტაბილიზაციას ისახავს მიზნად. ყველაფერი, რასაც ეუბნებოდა ეგრეთ წოდებული სამართალდამცველი უკვე დაღლილ, გამოფიტულ მენავთობეებს, ეს იყო მოწოდება — არ დათანხმდნენ არანაირ პირობასა და შეთანხმებაზე და გააგრძელონ დაპირისპირება ხელისუფლებასთან.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ბატონი კოზლოვი დაფინანსებას ღებულობს ყაზახეთის წყეული „მეგობრისგან“ — გაქცეულ დამნაშავე აბლიაზოვისგან — გასაგები გახდება, საიდან მოდის ყველაფერი. ქურდად ნამყოფი ოლიგარქისთვის, რომელიც ემალება ყაზახეთის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის მართმსაჯულებას, მთავარი იყო კონფლიქტი მშვიდობიანი დიალოგით კი არ დაწყებულიყო, არამედ აეფეთქებინათ სტაბილურობა ქვეყანაში. და ისე, რომ მთელ მსოფლიოს დაენახა. თანაც აეფეთქებინათ სათანადო დღესა და საათზე. ბუნტის მისმა იდეოლოგებმა ყველაფერი სწორად გაიანგარიშეს — აჯანყება დაიწყო ყაზახელთა ყველაზე მთავარ დღესასწაულზე — დამოკიდებლობის დღეს. მოვლენები ვითარდებოდა ყველა კლასიკური კანონის შესაბამისად. მოვლენამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო საზოგადოებრივი აზრის მომზადება უცხოეთში და ქვეყნის შიგნით. მაგალითად, სისხლიან მოვლენებამდე ერთი დღით ადრე ევროპარლამენტის ვიღაც დეპუტატმა ღიად განაცხადა, რომ ხვალ ჟანაოზენში დაიწყება...

დღეს ყაზახეთი — ეს არის, უწინარეს ყოვლისა, სტაბილური საზოგადოება აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ცხოვრების დონით. აქ მხოლოდ ზარმაცი შეიძლება იყოს უმუშევარი. ანდა, როგორ უნდა დაიჯერო იმ სახელმწიფოს სოციალური ჩამორჩენილობა, რომელიც დიდ წარმატებებს აღწევს მრავალ პოზიციაში. ავიღოთ, თუნდაც, ლონდონის ოლიმპიური თამაშები, ყაზახეთმა მოპოვებული მედლების საერთო აღრიცხვით ბევრ სპორტულ სახელმწიფოს გაუსწრო. ქვეყანამ, რომლის მოსახლეობაც ერთი დიდი მეგაპოლისისას უდრის და სულ რაღაც 16 მილიონი კაცია, შეძლო გასულიყო მე-12 პოზიციაზე ოლიმპიური მედლების ოდენობის მიხედვით. და ეს 205 სახელმწიფოთა შორის! შუა აზიის ამ რესპუბლიკის სპორტსმენებმა 7 ოქროს მედალი მოიპოვეს! რესპუბლიკა გავიდა მეოთხე ადგილზე მსოფლიო რეკორდების დამყარების მიხედვით. ხომ შთამბეჭდავია! მსოფლიო სპორტული მიღწევები — ეს სახელმწიფოს შესაძლებლობათა ყველაზე საუკეთესო პრეზენტაციაა.

ეს ქვეყანა რაღაცით სინგაპურს გვაგონებს. იგი ისეთსავე დიდ წარმატებებს აღწევს ეკონომიკაში — საერთაშორისო რეიტინგების თანახმად, ყაზახეთი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი ქვეყანაა. ერთ-ერთი უკანასკნელი რეიტინგით — **Ghange Readiness Inx 2012** — ყაზახეთის რესპუბლიკას უკავია მე-5 ადგილი მსოფლიო ეკონომიკის მომავალ ვარსკლავთა შორის.

წარმატებებს სპორტსა და ეკონომიკაში ავსებენ გაწონასწორებული ეკონომიკური კურსი და ყოველწლიურად მზარდი ავტორიტეტი. კვლავ და კვლავ, მხოლოდ თუ ფაქტებით ვილაპარაკებთ, მსოფლიო გაერთიანებამ მხოლოდ ყაზახეთს ანდო 2012 წელს სათავეში ჩასდგომოდა ეუთოს და მოეწყო ორგანიზაციის სამიტი, რომელიც, საერთაშორისო ურთიერთობათა სირთულის გათვალისწინებით, დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ არ იკრიბებოდა.

არ არის გასაოცარი, რომ 2011 წელს ყაზახეთის რესპუბლიკა სათავეში ჩაუდგა ეუთოს აღმოსავლურ ანალოგს — ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციას. ყაზახეთი ისე კარგად ართმევს თავს თავის მოვალეობებს, რომ მუსულმანურმა უმამ სთხოვა მას გააგრძელოს თავმჯდომარეობა კიდევ ნახევარი წლით — 2012 წლის ნოემბრამდე.

ასე რომ, თუ ყურადღებით დაუკვირდები კრიტიკის ობიექტს — მიხვდები, რომ ყველაფერი როდი ყოფილა ისე, როგორც ამას მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება ცდილობს. დიახ, ადამიანის ფსიქოლოგია ისეა აგებული, რომ ნეგატივს უფრო იოლად უჯერებ. მაგრამ დღეს მეტად მნიშვნელოვანია შეიძინო იმუნიტეტი „მასობრივი განადგურების“ იარაღის — არაადეკვატური ინფორმაციის მიმართ.

**კოტე ჩიხლაძე**

## დედამიწის ზურგზე



**ეუთოს მორიგმა კრიტიკულმა რეზოლუციამ გვაცნობა: ევროპა მოლბა რუსეთთან დამოკიდებულებაში**

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა აღაფრთოვანა რუსეთში საზოგადოებრივი ორგანიზაციის „გამოღვიძებამ“ და ზოგიერთმა პოლიტიკურმა რეფორმამ, დადებითად შეაფასა სიტუაცია რუსეთში უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში. ევროპელებს აქვთ შიშიც ხელისუფლების „რეალურ განზრახვასთან“ დაკავშირებით, მაგრამ ამ შემთხვევაში კრიტიკა უკიდურესად მსუბუქია, ვიდრე წინა მოხსენებებში იყო.

* * *

**იაპონელმა და ამერიკელმა კოსმონავტმა ქალებმა კბილის ჯაგრისის მეშვეობით შეაკეთეს საერთაშორისო კოსმოსური სადგური**



ღია კოსმოსში ექვსი საათის მუშაობის შემდეგ ასტრონავტებმა თვითნაკეთი ინსტრუმენტების მეშვეობით შეძლეს გაერემონტებინათ კოსმოსური სადგურის ამერიკული სეგმენტის ენერგოსისტემა. ამ დროს „ნასას“ ასტრონავტმა ქალბატონმა სანიტა უილიამსმა დაამყარა ღია კოსმოსში ყოფნის ახალი მსოფლიო რეკორდი ქალებისთვის — 44 საათი და 2 წუთი.

* * *

**ბარაკ ობამა ოფიციალურად დაასახელეს აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატად — დაეხმარა ბილ კლინტონი**



შარლოტში გამართულ ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე მოწყობილი კენჭისყრის თანახმად, ბარაკ ობამამ მოაგროვა ყრილობის დელეგატების ხმების ნახევარზე მეტი, რამაც მას საშუალება მისცა გამხდარიყო ერთადერთი კანდიდატი დემოკრატებისგან სახელმწიფოს ხელმძღვანელის მომავალ არჩევნებში.

* * *

**აშშ-ში რუს ფიგურისტს სრეტენსკის ბრალს სდებენ სექსუალურ მაძიებლობაში**

ადგილობრივმა ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საკითხი შეეხება სხვა ადამიანთან მისი შეთანხმების გარეშე შეხებას და სექსუალურ მაძიებლობას. ასეთ სამართალდარღვევებს სხვადასხვაგვარად განმარტავენ სხვადასხვა შტატში, მაგრამ მთლიანად ითვლება მძიმე დანაშაულად პიროვნების წინააღმდეგ.



◎ კანონმდებლები

# თბილისური „პიზის კოშკი“, მდინარე ვერეს საფრთხე და სხვა

**ასეა ხოლმე: „ახალი თვალი“ ყოველთვის უფრო მეტს ამჩნევს, ვიდრე შეჩვეული კაცის მზერა. ასე იყო ამ ჯერზეც, როცა თბილისში ბოლო სამი წლის მანძილზე არნამყოფმა მეგობარმა მითხრა, მას შემდეგ, რაც დედაქალაქში ფეხით თუ მანქანით სიარულით იჯერა გული, თქვენ ვერ ამჩნევთ, როგორ გალამაზდა ქალაქიო, მაგრამ რა უბედურებაა, ამდენი ადრე დაწყებული მშენებლობა ჯერაც დაუმთავრებელი რომ არისო...**

ერთ-ერთი პირველი შენობა, რომელსაც მეგობარმა ყურადღება მიაქცია, ვაკეში, ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორიაზე, გალაკტიონის ძეგლის გვერდით ის 40-სართულიანი ახალი საცხოვრებელი კორპუსის ფუნდამენტია, სამი თუ ოთხი წლის წინათ რომ დაიწყეს, მაგრამ ორ სართულზე მეტად საქმე არ წავიდა, მერე მშენებლობა გაჩერდა და ახლა... ოთხი წლის შემდეგ მისი გაგრძელება თურმე აღარ შეიძლება! საქმე ისაა, რომ **როგორც კი მონოლითის მშენებლობა იწყება, იგი ერთ ტემპში უნდა გაგრძელდეს და დასრულდეს, მისი გაჩერება არ შეიძლება, რადგან კონსტრუქციების გადაბმები უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს, მშენებლობის პროცესის შეუჩერებლად. ახლა კი, რამდენიმე წლის წინათ ამოყვანილი საძირკვლისა და რამდენიმე სართულის ბეტონიც „დაიღალა“, რკინის არმატურასაც კოროზიის პროცესი საგრძნობლად მოედო და, რამდენადაც ირკვევა, მშენებლობის გაგრძელებას ახლაღა აპირებენ, რის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება...** ახლა იმ 40-სართულიანი სახლის ამოყვანილი სართულები ბოლომდე დასანგრევია და თავიდან ამოსაყვანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამხელა შენობამ დროთა განმავლობაში შესაძლოა დატვირთვას ვერ გაუძლოს და... იმის წარმოდგენა კი, რაც შეიძლება მოვლენათა ამ სცენარით განვითარებას მოჰყვეს, დარწმუნებული ვარ, არავის არ სურს, მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე ამოყვანილი ნაგებობის ნაწილის დანგრევას არავინ აპირებს, რადგან ეს ამ უფულობაში, რომელსაც კომპანია განიცდის, ამ სახლში ბინების ღირებულებას კიდევ უფრო მეტად გააძვირებს, რაც უამრავ პრობლემას წარმოშობს...

მშენებლობის ნორმების უგულებელყოფა და საინჟინრო-გეოლოგიურ მოთხოვნათა იგნორირება რასაც იწვევს, ამავე უბანში კიდევ ერთი ახლადაშენებული სახლი მოწმობს, რომელიც კუს ტბის საბაგირო გზის ქვედა სადგურის მიმდებარედ, ზედ ვაკის პარკის ტერიტორიაზე დგას და დედაქალაქში უფრო მეტად „თბილისის პიზის კოშკადაა“ ცნობილი: **ეს თექვსმეტსართულიანი სიმახინჯე ყველა სიკეთესთან ერთად თანაც დახრილია, მასში ლიფტი მე-16 სართულამდე ვერასდროს მიაღწევს, რაც ამ სახლში ცხოვრებას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის...** აკი არც ცხოვრობს ხალხი, ვისაც იქ ბინა აქვს ნაყიდი — დაკავებული მხოლოდ შენობის პირველი სამი თუ ოთხი სართულია, ისიც რაღაც ოფისები არიან შესახლებული, თორემ ცხოვრებით თითქმის არავინ ცხოვრობს...

რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი



ინჟინერ-გეოლოგი **პაატა თვალაძე** იყო მოსული, რომელთანაც საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა თბილისში ურბანული მშენებლობისას საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების პროფანაცია და მშენებლობათა თავის ნებაზე მიშვება იყო.

— დღესდღეობით თბილისში შენობების 40 პროცენტი უკანონოდ და საინჟინრო-გეოლოგიური ნორმების დარღვევითაა აშენებული, — ამბობს ბატონი პაატა, — დედაქალაქში, მოგეხსენებათ, რთული გეომორფოლოგიური რელიეფია, ქანები ზოგან კლდოვანია, ზოგან თაბაშირიანი, მოკლედ სხვადასხვა შემადგენლობისაა, ხოლო თითოეულ მათგანს სპეციფიკური საინჟინრო-გეოლოგიური და სამშენებლო მიდგომა უნდა...

თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს ამ ნორმების დარღვევას, ერთ მაგალითს მოვიყვან: **მე-9 საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე — ახალი, კოხტა სახლი ჩადგეს სწორედ იმ ადგილას, სადაც... მეწყერი ჩადის — მის სანახავად თავის დროზე სტუდენტები პრაქტიკაზე დამყავდა... ცოტა ხანში იმ სახლს რაც დღე დაადგება, ყველანი კარგად დავინახავთ!**

ახალ უბედურებას კიდევ თბილისს მდინარე ვერეს გასწვრივ ახალი გზის მშენებლობა უქადის: **იქ, სადაც ახალი გზა ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ გზატკეცილს უერთდება, გვირაბი, რომ იტყვიან, ფარატინა ქაღალდივით თხელი გარსით დაფარეს, რომელსაც თავზე უზარმაზარი კლდე აწევს, ქვემოთ მდინარე ვერე გადის, რომლის წყლის აორთქლება გვირაბის დამცავი გარსის კოროზიას იწვევს, თანაც ქანის დაშლას შეუწყობს ხელს... შედეგად, დღეს და ხვალ კი არა, მაგრამ როცა იქნება, ეს ქანი ჩამოიშლება და ერთიანად მდინარე ვერეში „ჩაეთხლიშება“, იქაურობას წყალი გაავსებს და ვიდრე მდინარის კალაპოტს ჩამხერგავი ნაშალი ქანიდან გაწმენდას ფიზიკურად შეძლებენ, ის ნახევარ თბილისს წალეკავს და ზეგ გადაუვლის...**

წესით და რიგით, მათ ყველაფერი ესტაკადაზე უნდა აეყვანათ, დაახლოებით ისეთზე, ამჟამად გმირთა მოედანზე რომ შენდება — თან უფრო ლამაზიც იქნებოდა და უფრო იაფიც დაჯდებოდა. გარდა ამისა, ქანებს როცა ჭრიან, არის გარკვეული წესები, რომლებსაც დაცვა უნდა: ფერდების დახრის კუთხე აუცილებლად 45 გრადუსი უნდა იყოს, რაც არც ქვათაცვენას, არც მეწყერს არ გამოიწვევს, ამათ კი აიღეს და „მალე-მალეს“ ძახილში 60-გრადუსიანი დაქანება მისცეს, ახლა კი ქვათაცვენას ვეღარ აუდიან... ან არ იციან, თუ როგორ უნდა გააკეთონ, ანდა იციან და...

ბატონ პაატა თვალაძის თქმით, **ბოლო დროს საქართველოში აგებული, ფაქტობრივად, ყველა შენობა და გაყვანილი გზა გაცილებით ძვირადაა აშენებული რეალურ ღირებულებასთან შედარებით...** ამიტომაცაა, რომ ავტობანი, რომლითაც ხელისუფლება აგრერიგ ტრაბახობს, თბილისიდან მხოლოდ გორამდეა მიყვანილი, იმის იქით გზა ვეღარ წავიდა, რადგან მთელი გზის ფული სწორედ მის მესამედ მონაკვეთზე დაიხარჯა. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს მონაკვეთი ვაკე გზაზე გადის, სადაც არც კლდე იყო მოსანგრევი, არც ახალი ხიდები იყო ასაგები...

— ამიტომ აუცილებელია საქართველოში მშენებლობის სამინისტროს დაბრუნება, რომელიც ყველაფერს გააკონტროლებს, — ასკვნის ბატონი თვალაძე. **— თანაც ყველგან საქმეს პროფესიონალი უნდა უძღვებოდეს,** თორემ, როგორც ვხედავთ, როცა სოფლის მეურნეობას ექიმი ხელმძღვანელობს, მედიცინას — ფილოსოფოსი, ეკონომიკას — კაცმა არ იცის რა განათლების მქონე ქალბატონი, შედეგად ისა გვაქვს, რაც გვაქვს. თუ რა მოგებას ნახულობს ამით ქვეყანა, შემდგომ წერილში ვილაპარაკებთ, რომელიც ეკონომიკის განვითარების ზოგიერთ პერსპექტივას და სამინისტროს ხელმძღვანელის ამაზე რეაქციას ეხება.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ „ინტრიგანის“ კუთხე

## არ გვეზეიმება, თუ რა!..

**ეს რამდენიმე დღეა, დიდი ხმაურია „რუსთავი-2“-ის ტელეეკრანზე — თურმე ნუ იტყვი და, გარდა იმისა, რომ ლუარსაბს ბუზები უთვლია, გადაცემას „დილა მშვიდობისა, საქართველო!“ 10 წელი შესრულებია...**

კი ბატონო, იზეიმონ, აღნიშვნა ყველაფრისა შეიძლება, ოღონდ ასეთი იუბილეს ასე გასაჯაროება, გასახალხოება, გამოცხადება ისტორიულ თარიღად, მნიშვნელოვან მოვლენად და მის გარშემო ამხელა ჟივჟივის ატეხვა ამ დროში და ამ ქვეყანაში, მე პირადად „მეპირკატა“...

ჩვენში რომ ვთქვათ — ან რატომ ჩვენში, ჩვენს გარეთაც ვთქვათ — განა რამდენი მშვიდობის დილა გაუთენდა საქართველოს ბოლო ათ წელიწადში, ისევე როგორც წინა წლებშიც?.. თუმცა რა, ეს ის ქვეყანა არ არის, სადაც ომში დამარცხებაც ზეიმად და გახურებულ ტაშ-ფანდურად აქციეს, მაშ რაღა ეგ რუსთავორული ზეიმი გამიკვირდა?..

ვისარგებლებ შემთხვევით და ამ იუბილეს წიაღ ერთი „წიაღსვლის“ ნებას მივცემ თავს: ერთ-ერთ საიუბილეო დილას, „დილა მშვიდობისას“ ერთ-ერთმა ცნობადმა სახემ, ხმამშვენიერმა, პირმშვენიერმა, ტანფეხმშვენიერმა „მეამინდე-მედარემ“ ლიკა ქორქიამ „დაგვიპროგნოზა“ — ტემპერატურა დღეს 31 გრადუსამდე გათბებაო...

ძვირფას ლიკას უნდა ვუთხრათ (თუ ავუხსნათძ, რომ ტემპერატურა არც თბება და არც ცივდება — თბება ჰაერი... ტემპერატურა სითბური მახასიათებელია, სითბოს ხარისხია და ტემპერატურა გათბებაო იმავეს თქმას ნიშნავს, სითბო გათბებაო... ასე რომ, თუ ეს შენიშვნა ლიკას შემთხვევით თვალთ მოხვდება, „დილა მშვიდობისას“ 15 წლისთავზე (რომელსაც მე პირადად ან მოვესწრები, ან არაძ ამინდის გამოცხადებისას „შეიშნოს“.

**ბერდია ბედოიძე**

◎ წინასაარჩევნო კამპანია

## „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე

### ზოგთათვის ადვილად დასახსომებლად

**ტანს ემოსა მას ქურთუკი, ა-შუ-შუ-ში ნაჩუქარი,
ყვარლის რანჩოს უნათებდა რუსის დენის ნაშუქარი,
თმას, შეღებილს უწეწავდა ცელქი სიო, ანუ ქარი,
კვლა ელოდა ის კათედრა, მშობლიური, სანუკვარი.**

**არ მენახა აქამომდე სივრცე მის წინ, ცარიელი,
არცვინ ჩანდა ან მთიელი, ანდა კიდევ ბარიელი,
არ ისმოდა „მიშა-მიშა“, არცა ტაში ხვავრიელი,
შორს თუ იყვნენ ფრიდონი და ავთანდილ და ტარიელი...**

**კათედრით მან გადმომდგარმან, კვლა თქვა სიტყვა გასაკვირი,
ალაგ-ალაგ დაშაქრული, ალაგ-ალაგ ასაყვირი,
ხანდახან თუ საცინარი, ხანდახანაც ასატირი,
ვინ ახსენა საქებარად, ვინაც იქვე — გასაწირი.**

**მთა, ჩემს უკან ამართული, ამ ჩვენს ყოფას ჰყოფსო ორად,
მაგ მთის აქეთ ვვითარდებით სწრაფი ტემპით, მტკიცედ, სწორად,
მაგის იქით ქაოსია, იღეთ მართლად, არა ჭორად,
იმ ქაოსში დაბრუნება უნდათ ჩვენი ყმად და მონად...**

**რამაზ ილმელი.**

(დასასრული იქნება)

◎ ინფორმაცია

## პროკურატურა სერჟანტს ჯარისკაცის თვითმკვლელობამდე მიყვანაში ადანაშაულებს

**საოლქო პროკურატურა გორის სამხედრო ნაწილის სერჟანტს 26 წლის თენგიზ გელაშვილს 19 წლის ჯარისკაცის კობა მახარაშვილის თვითმკვლელობამდე მიყვანაში ადანაშაულებს და მისთვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს. გარდაცვლილი ჯარისკაცის ახლობლების თქმით კი, კობა მახარაშვილი ნაწამები იყო.**

**ცენტრის ინფორმაციით, კობა მახარაშვილის საქმეში ბრალდებული სერჟანტი თენგიზ გელაშვილია, რომელიც მე-5 ქვეითი ბრიგადის 51-ე ბატალიონში კობა მახარაშვილთან ერთად მსახურობდა. შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა გელაშვილს კობა მახარაშვილის თვითმკვლელობამდე მიყვანაში ადანაშაულებს (სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლი), რაც 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.**

**საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2012 წლის 12 ივლისს, მე-5 ქვეით ბრიგადაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სერჟანტმა გელაშვილმა რიგით ჯარისკაცს 19 წლის კობა მახარაშვილს სხვა ჯარისკაცების თანდასწრებით სახეში ორჯერ გაარტყა, (ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზის გამო) რის შემდეგაც კობა მახარაშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.**

**სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა გელაშვილმა განაცხადა: „თავს დამნაშავედ ვცნობ მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ ჯარისკაცს, რომელიც დაიღუპა, მარტო 2-ჯერ გავარტყი სახეში ხელი, თვითმკვლელობამდე მე არ მიმიყვანია და არც მიწამებია„.**

**სხდომას კობა მახარაშვილის ახლობლებიც ესწრებოდნენ. მათი თქმით, კობა მახარაშვილს თავი არ მოუკლავს და ის თენგიზ გელაშვილმა მოკლა.**

ინტერპრესი

კალათბურთი



# ბრძოლებს ვარსკვლავები იგებენ

**— გამარჯვების მოსაპოვებლად ჩვენი გუნდის თითოეულმა წევრმა თავდადებით იბრძოლა და ამისათვის ბიჭებს მადლობას ვუხდი, მაგრამ მირზა ტელეტოვიჩის ბრწყინვალე თამაშმა გარჯა წყალში ჩაგვიყარა — განაცხადა ბოსნიასთან დრამატულ დუელში წაგებული „ევრო-2013“-ის უმნიშვნელოვანესი შესარჩევი შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ეროვნული ნაკრების სერბმა თავკაცმა იგორ კოკოშკოვმა.**

ძნელია არ დაეთანხმო „ჯვაროსანთა“ მთავარ მწვრთნელს — მისმა შეგირდებმა, რომ იტყვიან, მართლაც ძვლები დადეს ნერვების ომის მოსაგებად, თუმცა სტუმართა ლიდერის საფინიშო სპურტმა (მან მეორე ნახევარში პარტნიორებს 21 ქულა შესძინა, აქედან 10 — ბოლო ორ წუთში) მის თანამემამულეებს რევანშის აღების საშუალება მისცა.

არადა, შესვენებამდე სანიკიძე და შენგელია ღირსეულად უმკლავდებოდნენ „ბრუკლინ ნეთსის“ ახალ ვარსკვლავს, რაშიც მისი მოკრძალებული პირადი მონაგარიც დაგვარწმუნებთ — მხოლოდ 4 (!) ქულა.

მაშ, რატომ ვერ მოვახერხეთ სოლიდური ჰანდიკაპით დაწინაურება? — დაგებადებათ, ალბათ, კითხვა. პასუხი უმარტივესია — ბალკანელთა შემადგენლობას სხვა კვალიფიციური შემსრულებლებიც ამშვენებენ. საილუსტრაციოდ მხოლოდ რაიტის, მაშიჩისა და დედოვიჩის დასახელება კმარა, რომლებმაც სამქულიანებით დაგვისეტყვეს კალათი, ხოლო კიკანოვიჩმა ფარქვეშ მაშინ გაილაღა, როცა ჩვენი გიგანტები სწორედ ტელეტოვიჩის მჭიდრო მეურვეობით იყვნენ დაკავებულნი.

და ბოლოს, დამარცხების მიუხედავად, ცალი ფეხით მაინც უკვე სლოვენიაში ვართ, რადგან დანარჩენ ჯგუფებში შექმნილი სატურნირო ვითარება საუკეთესო მესამეადგილოსანთა კვარტეტში მოხვედრისა და სანუკვარი საგზურის დაუფლების ჩინებულ შანსს გვიტოვებს — საამისოდ აუცილებელია საკვალიფიკაციო რაუნდის დანარჩენი ორი მატჩიდან (ხვალ — ლატვიაში და 11 სექტემბერს — თბილისში ჰოლანდიასთან) ერთ-ერთის მოგება. დაგვეთანხმებით, ამის უნარი ნამდვილად შეგვწევს.

**საქართველო: მარკოიშვილი — 23, ფაჩულია — 21, შენგელია — 17, პულენი — 13, სანიკიძე — 12, ცინცაძე — 9, შერმადინი — 8 ქულა.**

**ჰოლანდია — ლატვია 81:86.**

**ბოსნია — 5, საქართველო, ლატვია — 4-4, ჰოლანდია — 2, რუმინეთი — 1 მოგება.**

**გიორგი შოთაძე**

ფეხბურთი

# ესეც ფსიქოლოგიური დოპინგი!



**მოგეხსენებათ, საქართველო — ბელარუსის დღევანდელი მატჩით თემურ ქეცბაიას გუნდი „მუნდიალ — 2014“-ის შესარჩევ ციკლში ებმება. შეხვედრა „დინამო არენაზე“ 21 საათზე დაიწყება და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგვთავაზებს.**

ახალი საკვალიფიკაციო რაუნდის სტარტამდე „ჯვაროსნებს“, ვფიქრობთ, ხასიათს გამოუკეთებდა შვეიცარიიდან მოსული ინფორმაცია — ფიფას ტრადიციულ ყოველთვიურ რეიტინგში ჩვენმა თანამემამულეებმა ერთბაშად 11 საფეხურით წაიწიეს წინ და ამჟამად 86-ე პოზიციაზე იმყოფებიან. ასეთი პროგრესი ლუქსემბურგში ახლახან მოგებულმა სპარინგმა განაპირობა — 2:1.

რაც შეეხება ელიტურ ოცეულს, იგი ასე გამოიყურება: ესპანეთი, გერმანია, ინგლისი, პორტუგალია, ურუგვაი, იტალია, არგენტინა, ჰოლანდია, ხორვატეთი, დანია, საბერძნეთი, ბრაზილია, რუსეთი, ჩილე, საფრანგეთი, კოტ დივუარი, ეკვადორი, შვედეთი, ჩეხეთი, შვეიცარია. შეგახსენებთ, რომ ესპანელები და ფრანგები ჩვენი ჯგუფის ფავორიტები არიან. დავძენთ, რომ დანარჩენი მომავალი მეტოქეები — ბელარუსები და ფინელები, შესაბამისად, 76-ე და 96-ე ადგილებს იკავებენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

75 წლის შემდეგ

# მაშინაც და ახლაც — ალონსო და ეჩებერია

**გურიის ორი რაიონის მკვიდრი ვარ: დავიბადე დედულეთში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანში, დედაჩემის საგვარეულო ართმელაძეთა უბანში. უკვე „დავაჟკაცებული“, ერთი წლისა, მშობლებთან ერთად აღმოვჩნდი ოზურგეთში, მამაჩემის მშობლიურ სოფელ ქვედა ბახვში. მამაჩემი სამედიცინო პუნქტის გამგედ მიიწვიეს სოფელ ნატანებში. რამდენიმე წლის შემდეგ ოზურგეთის ცენტრში გადავინაცვლეთ მე და დედაჩემმა, მამაჩემმა კი ნატანებში 13 წელი დაჰყო.**

**ოზურგეთი სპორტული რაიონია, სადაც დასაბამიდანვე არაერთი სპორტის სახეობა იყო კულტივირებული — ფეხბურთი, ფრენბურთი, ძალოსნობა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, შაში...**

**ასე შემიყვარდა სპორტი ბავშვობის წლებიდანვე.**

ცამეტი წლის მოზარდი ინტერესით დატვირთული შევხვდი 1937 წელს საბჭოთა კავშირში ესპანეთიდან ბასკეთის ლეგენდარული ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ჩამოსვლას. იმ დროს გამზადებული ილუსტრირებული საერთო რვეული აქამდე შემონახული მომყვა. მოგვიანებით ოცნებაც ამისრულდა: 1984 წელს „ნაკადულის“ გამომცემლობამ გამოსცა ჩემი წიგნი ტურნეში მონაწილე ბასკებზე — „მოედანზე არიან ბასკი ვირტუოზები“.

ცხრა მატჩი გამართეს ბასკებმა საბჭოთა კავშირში: სამი — ნაკრებ გუნდებთან (ლენინგრადი, საქართველო, მინსკი), ექვსი საკლუბო გუნდებთან, მათგან ლეგენდარულ ბასკებთან „მშობლიური“ შემადგენლობით მხოლოდ ორმა გაბედა შებმა — თასის პირველი გათამაშების ფინალისტებმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ (წააგო 1:5) და თბილისის „დინამომ“ (წააგო 0:2, ისიც თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მეკარე დოროხოვის მიერ მოგერიებული ბურთი მცველ მინაევს შემთხვევით მოხვდა და ასე შეგორდა კარში მეორე გოლი).

სამარცხვინო სახე გვიჩვენა საბჭოთა კავშირის რიგით მეორე ჩემპიონმა მოსკოვის „სპარტაკმა“, რომელმაც, ჯერ ერთი, შემადგენლობით ფაქტიურად ქვეყნის ნაკრები გამოიყვანა (მალინინი ცდკა-დან, ფედოტოვი „მეტალურგიდან“, ტერენკოვი „ლოკომოტივიდან“, შჩეგოცკი და შილოვსკი კიევის „დინამოდან“), მეორეც უსირცხვილო საქციელი მსაჯის კოსმაჩევისა, რამაც აიძულა ბასკები 57-ე წუთზე შეეწყვიტათ თამაში და სამთავრობო ლოჟის წინ ჩამწკრივებულიყვნენ, მოედნის დატოვების განზრახვით. საქმეს მხოლოდ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელის ვ. მოლოტოვის ჩარევამ უშველა. ბასკები შემობრუნებულან მოედანზე, მაგრამ ბრძოლა ფაქტიურად შეუწყვეტიათ.

ასე „გაიმარჯვეს“ მოსკოველებმა ანგარიშით 6:2.

ბასკების 20-კაციან დელეგაციაში შედიოდა, უპირველეს ყოვლისა, გუნდის მწვრთნელი პედრო ვალიანო — ანტვერპენის, პარიზის, ამსტერდამის ოლიმპიადების მონაწილე, წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი, რომელიც ცამეტჯერ კაპიტნობდა ესპანეთის ნაკრებს. რუსული წყარო ბასკთა ნაკრების ტურნესთან დაკავშირებული ისტორიების აღწერისას გადმოგვცემს ფათერაკსაც, რომელიც შეემთხვა ესპანეთის ნაკრების სახელგანთქმულ კაპიტანს. კერძოდ, 1924 წლის ოლიმპიური თამაშების ნახევარფინალში „კოლომბოს“ სტადიონზე იტალიელი ფორვარდის პასის ჩაჭრისას ესპანეთის გუნდის კაპიტანმა ბურთი საკუთარ კარში შეაგდო და ცუდად გახდა.

ბასკური ფეხბურთი ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. მისი ისტორია იწყება 1898 წლიდან, ოთხი წლის შემდეგ მოევლინა სპორტულ სამყაროს „რეალი“, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი — „ბარსელონა“.

ბილბაოს გუნდი „ატლეტიკი“ უნიკალურია მთელ მსოფლიოში: 1915 წლიდან მის შემადგენლობაში არ უთამაშია ფეხბურთელს, რომელიც არ დაბადებულა ბასკეთის სამი პროვინციიდან რომელიმეში. ასე რომ, ბილბაოს „ატლეტიკი“ მსოფლიოში ერთადერთი გუნდია, რომელიც 1915 წლიდან ლეგიონერების გარეშე ასპარეზობს.

ტურნესთან დაკავშირებით ცნობილი რუსი ფეხბურთელი ანდრეი სტაროსტინი წერდა, რომ ჩვენს წინააღმდეგ იდგა ევროპაში უძლიერესი ფორვარდების ხუთეული: გოროსტიცა, ლუის რეგეირო, „წითური“ ლანგარა, ირარაგორი, ალონსო, მეტსახელად „ემილინი“.

შვიდნახევარი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ და საფეხბურთო ასპარეზზე უკანასკნელ დრომდე ტურნეს მონაწილე რომელიმე ბასკის გვარი არ გამეორებულა. პირველი გამონაკლისია უკვე გამოჩენილი ნახევარმცველი „რეალიდან“ ჩაბი ალონსო, დაბალი ჟღალი წვერით. მან 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას გერმანელ პოდოლსკისთან ერთად 100-მატჩიანი ზღვარი გადალახა, თან ეს მრავლისმეტყველი ეპიზოდი გოლით აღნიშნა.

ნაკლებად ცნობილია ბენიატ ეჩებერია ბეტისიდან, ვინც ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ საუდის არაბეთთან ამხანაგური მატჩისთვის და საქართველოსთან 2014 წლის მუნდიალის პირველი საკვალიფიკაციო შეხვედრისთვის 23-კაციან შემადგენლობაში დაასახელა.

1937 წლის ტურნეში ნახევარმცველმა რობერტო ეჩებერიამ ყველა მატჩი ითამაშა და მოსკოვის „დინამოს“ გაძლიერებულ შემადგენლობასთან გოლიც გაიტანა. მოსკოველთა რიგებში ითამაშეს თბილისელმა დინამოელებმა მეკარე ალექსანდრე დოროხოვმა და მცველმა შოთა შავგულიძემ.

რაც შეეხება ემილიო ალონსოს, მან ხუთ მატჩში მიიღო მონაწილეობა, ერთი გოლი გაიტანა (საქართველოს ნაკრებთან) და მისი სამი მიწოდება ბასკებმა შედეგიანად გამოიყენეს.

ჩაბი ალონსო და ბენიატ ეჩებერია პირველად ჩამოდიან ჩვენთან.

კეთილი იყოს მათი ფეხი საქართველოში!

**გიორგი მახარაძე,**
**რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი, ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი.**

ჭიდაობა

# კოლექციას ოქრო დააკლდა



**ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო — ასეთი მონაგრით დაასრულა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ტაილანდში ახალგაზრდების მსოფლიო პირველობა. უკვე გაუწყეთ, რომ ასპარეზობის პირველ დღეს 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში თორნიკე ძამაშვილმა მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მეორე ადგილი დაიკავა. 96 კილოში ბრინჯაოს მედალი იაკობ ქაჯაიამ დაიმსახურა.**

მძიმე წონაში შარშანდელი მსგავსი შეჯიბრების გამარჯვებულია შოთა გოგისვანიძე. იგი პატაიაშიც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ფინალში დაუცდა ფეხი. პირველ წრეში ჩვენებურმა კორეელი ჯი-ეუნგ პარკი დაამარცხა, შემდეგ უზბეკ შერზოდ აკბაროვსა და ჩინელ ვანან ჩანს აჯობა, ფინალური პაექრობა კი უნგრელ ბალინტ ლამთან დათმო და ვერცხლის მედალს დაჯაბულდა. ნაკრების დანარჩენმა წევრებმა (ნიკა ცეცხლაძე, გიორგი დავითაია, რობერტ ქობლიაშვილი) კვარცხლბეკს ვერ უწიეს.

მომავალ უქმეებზე ტაილანდურ ხალიჩაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მოსინჯავენ ძალებს. საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაზე ასეთი შემადგენლობით გამოვა: ბექა ბუჯიაშვილი (50), ლაშა ტალახაძე (55), ლაშა ბიტარაშვილი (60), კონსტანტინე საბაშვილი (66), ჯუმბერ ყველაშვილი (74), ლევან გოგრიჭიანი (84), გიორგი მეშვილდიშვილი (96), გენო პეტრიაშვილი (120).

**ლაშა დიდია**

ჭადრაკი



# გულის გატეხვა ნაადრევია

**სტამბოლში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ორთაბრძოლები გამწვავდა. არც არის გასაკვირი, რადგან წილისყრით ერთმანეთს ფავორიტები ხვდებიან და მეწინავეთა ჯგუფში მყოფთ იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელით. რაც შეეხებათ საქართველოს გუნდებს, ისინი საგრძნობლად ჩამორჩნენ ლიდერებს, თუმცა გულის გატეხვა ჯერ ნაადრევია — ბოლო სამ ტურში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.**

მე-8 ტურში ქალთა ნაკრები სერბეთს დაუპირისპირდა. პირველ დაფაზე ნანა ძაგნიძემ ნატაშა ბოიკოვიჩს სძლია, ბელა ხოტენაშვილი და ნინო ბაციაშვილი, შესაბამისად, ანჟელიკა სტოიანოვიჩსა და ანა ბანდერასს შეუთანხმდნენ ყაიმზე, ლელა ჯავახიშვილი კი მარიჯა რაკიჩთან დამარცხდა და საბოლოოდ ფრე — 2:2. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა რუსეთისა და უკრაინის ქალთა გუნდების შეხვედრა (ტატიანა კოსინცევა — კატერინა ლაგნო 0,5:0,5, ვალენტინა გუნინა — მარია მუზიჩუკი 0,5:0,5, ნადეჟდა კოსინცევა — ნატალია ჟუკოვა 1:0, ნატალია პოგონინა — ანა უშენინა 0:1). დანარჩენი შეხვედრები: პოლონეთი — ჩინეთი 1:3, საფრანგეთი — ესპანეთი 3:1, უზბეკეთი — უნგრეთი 2,5:1,5, ვიეტნამი — ინდოეთი 1,5:2,5, სომხეთი — რუმინეთი 3:1.

**რვა ტურის შემდეგ:** ჩინეთი — 14, რუსეთი, საფრანგეთი, ინდოეთი, უზბეკეთი — 13-13 ქულა. საქართველოს ნაკრები 11 ქულით მეთორმეტე ადგილზეა.

ვაჟთა ტურნირში ერთპიროვნულად ისევ რუსეთი მეწინავეობს. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ოლიმპიადის ჩემპიონები — უკრაინელები დაამარცხეს — 2,5:1,5 და 15 ქულას მოუყარეს თავი. ლიდერს ორ-ორი ქულით ჩინეთი, სომხეთი, აშშ, გერმანია და ფილიპინები ჩამორჩებიან. მე-8 ტურში მათი პაექრობები ასე დამთავრდა: ჩინეთი — აზერბაიჯანი 2:2, სომხეთი — უზბეკეთი 3:1, მაკედონია — აშშ 1:3, გერმანია — უნგრეთი 2,5:1,5, ინგლისი — ფილიპინები 1:3. საქართველოს ნაკრებმა იოლად დაამარცხა მასპინძლები — 3,5:0,5 (ბურაკ ფირატი — მიხეილ მჭედლიშვილი 0:1, ვაჰაპ სანალი — მერაბ გაგუნაშვილი 0:1, ბათუხან დასტანი — თორნიკე სანიკიძე 0:1, კანკუთ ემიროგლუ — კონსტანტინე შანავა 0,5:0,5). ჩვენებს 11 ქულით მე-16 ადგილი უკავიათ.

**ლექსო ცინცაძე**

## ხსოვნა

# რევაზ სირაძე



ქართულმა კულტურამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა — ტრაგიკულად დაიღუპა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **რევაზ სირაძე**.

რევაზ სირაძე იყო მეცნიერი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ფილოლოგიაში. მისმა წიგნებმა „ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები“ (1975წ, „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“ (1978წ, „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა“ (1992წ, „ქართული კულტურის საფუძვლები“ (2008წ განსაზღვრა ძველი ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, ქართული კულტურის, ისტორიის კვლევის მიმართულებები და პრინციპები. იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებში შემოიტანა ისეთი თემები, კატეგორიები და ცნებები, როგორებიცაა მშვენიერი და ამაღლებული, იდუმალების ესთეტიკა და დროის მითოლოგიზაცია, მხატვრული სახე და სახისმეტყველება, აზრის სილამაზე და სიტყვის პოეტიკა. მის შრომებში ნათლად და არგუმენტირებულად გამოიკვეთა ქართული კულტურის როლი და ადგილი ქრისტიანული ცივილიზაციის ისტორიაში.

რევაზ სირაძე დაიბადა 1936 წლის 3 ივნისს ოზურგეთში. 1954 წელს დაამთავრა ოზურგეთის პირველი საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტშივე გაიარა ასპირანტურის კურსი აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ხელმძღვანელობით. 1976 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 2008 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. იყო 4 მონოგრაფიისა და 200-ზე მეტი შრომის ავტორი. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, სასულიერო აკადემიასა და საპატრიარქოს უნივერსიტეტში. იყო ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი.

მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია არა მარტო ქართული მეცნიერებისთვის, არამედ საერთოდ ქართული კულტურისთვის.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

## შეუცნობელი

**მას შემდეგ, რაც 1980 წლის ოსკარ უაილდმა თავისი სკანდალური რომანი „დორიან გრეის პორტრეტი“ გამოაქვეყნა, მეგობრებმა ჰკითხეს მას, შეეძლო თუ არა სინამდვილეში ნახატს თავისი გმირის შეცვლა და მისი ცხოვრების გატაცებაც კი, რაზეც მწერალმა უპასუხა: „დააკვირდით ტიციანის, ლეონარდო და ვინჩის, უილიამ ჰანტის პორტრეტებს — მრავალ ნახატში თქვენ პასუხს მიაგნებთ.“**

# „კუმის სიბილას“ ავი ქალა



რომის წმინდა იმპერიის ცნობილი თავადების რაძივილების წინაპრები ოდესღაც ძლევამოსილი წარმართული ლიტვის ქურუმები იყვნენ. თავადების საარაკო ქონებამ და ხელოვნების სიყვარულმა მათ სურათების დიდებული გალერეისა და გასაოცარი ბიბლიოთეკის შექმნის საშუალება მისცა, რომელშიც ოკულტიზმზე მრავალი წიგნი, ნახატი და ანტიკურ სიბილათა — ნათელმხილველთა — ტექსტი იყო თავმოყრილი.

მხატვრული ტილოების კოლექციის ყველაზე ძვირფასი ექსპონატი XVI საუკუნის მხატვარ ტიციანის მიერ დახატული „კუმის სიბილა“ იყო. **გადმოცემით სწორედ ეს ნახატი იყო ოჯახური სიმდიდრის მფარველი** და, მართლაც, ვიდრე „კუმის სიბილა“ რაძივილების ციხე-დარბაზის გალერეაში ინახებოდა, თავადების სიმდიდრესა და ძლევამოსილებას ვერც ომებმა, ვერც ალყებმა ვერანაირი ზიანი ვერ მიაყენეს.

ნახატის სიუჟეტი ტიციანმა ბერძნული მითოლოგიიდან აიღო: მითის თანახმად, იტალიის ქალაქ კუმში ღმერთ აპოლონის შეყვარებული ბერძენი ქურუმი ქალი ცხოვრობდა, რომელიც წინასწარმეტყველების ღვთაებრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ქალიშვილმა სატრფოს უკვდავება შესთხოვა და აპოლონმა მას იმდენი წლის სიცოცხლე უბოძა, რამდენი ქვიშის მარცვლის აღებას შეძლებდა პეშვით. გახარებულ ქალიშვილს ღმერთისთვის მარადიული სილამაზის თხოვნა დაავიწყდა, ამიტომ ჟამთა სვლაში იგი მუმიას დაემსგავსა. სიბილას წინასწარმეტყველებები ბერძნებს ყველა სახელმწიფო თუ პირადული გადაწყვეტის საქმეში ეხმარებოდა, მაგრამ მათი უმრავლესობა ათას უბედურებას შეიცავდა.

ციხე-დარბაზის ისტორიის მცოდნენი ამბობენ, რომ **როცა ქალები (ოღონდ არა რაძივილების პირდაპირი მემკვიდრეები) სურათს უცქერდნენ, მათ პულსი უჩქარდებოდათ, უცბად გუნება უფუჭდებოდათ, უეცრად აუხსნელი შიში იპყრობდათ. მამაკაცებს კი გულისცემაში შეფერხებები უჩნდებოდათ, ხელის კანკალი ეწყებოდათ. ეჭვი არ არის, რომ სურათის მისტიკური, თვალით უხილავი აურა, მაყურებელს „ითრევდა“ და ცუდად მოქმედებდა მის მდგომარეობაზე.**

1722 წელს უშვილო რაძივილებმა აგნესა ლანსკარონელი იშვილეს, რომელსაც „კუმის სიბილას“ ნახვისთანავე მოეჩვენა, თითქოს სურათი თავისთან იხმობდა. რამდენიმე თვის შემდეგ კი ღამე სურათთან სანთლით ხელში მისული პატარა გრაფინია მსახურებმა გულწასული ნახეს. მერე „კუმის სიბილა“ ნორჩ აგნესას აჩუქეს, მაგრამ მან ძღვენი არ მიიღო, შემდეგ კი ბიბლიოთეკარს ტიციანის ცხოვრების შესახებ მასალების მიწოდება სთხოვა, სადაც საგულისხმო ამბავს მიაგნო, რომ **დიდების მწვერვალზე მყოფ ტიციანს თავისი კოლეგის მხატვარ ანტონიო პორდენონეს მკვლელობა დააბრალეს, რომელიც მას, თითქოს, ქალაქ ფერარაში ჩაუდენია.**

ალსარებაზე ტიციანმა ფიცი დადო, რომ პორდენონე არ მოუწამლავს და აბდაუბდად რაღაც სურათს ახსენებდა.

ცნობილია, რომ 1529 წელს ტიციანი ერთდროულად ორ ტილოზე — „პეტრე წამებულის მკვლელობასა“ და, სავარაუდოდ, „ახალგაზრდა ქალის პორტრეტზე“, რომელიც მაყურებელს თეთრი ღვინით სირჩას აწვდის“ მუშაობდა. ბიბლიოთეკარის აზრით, ეს ტიციანის მეუღლის, ფეხმძიმე ჩიჩოლინას პორტრეტი იყო. ყოველთვის, როცა ჩიჩოლინა თავის დაუმთავრებელ პორტრეტს უცქერდა, მას გული უწუხდებოდა.

ტიციანმა დიდხანს იცოცხლა, მისმა თანამედროვეებმა კი შეამჩნიეს, რომ მისი პორტრეტების ნატურები ხშირად მალევე კვდებოდნენ. მხატვრის გარდაცვალების შემდეგ **სურათი „ქალი სირჩით“, ეს ბოლომდე დაუსრულებელი ტილო, გაურკვეველი გზით რომელიღაც დუქანში მოხვდა, მაგრამ იქაური მუშტრები მის სიახლოვეს დაჯდომას თავს არიდებდნენ, — ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ქალი ჭიქებში... საწამლავს უსხამდა!**

... — „კუმის სიბილა“ მეც მემუქრება! — გულდაჯერებით თქვა აგნესამ, ბიბლიოთეკარმა კი სასწრაფოდ თავადის ქალ რაძივილს მიაშურა.

... მას შემდეგ წლები გავიდა და იმ დროისთვის ულამაზესი ქალიშვილის აგნესას ქორწილის დღეც დადგა. მის მდიდრულ მზითევში „კუმის სიბილაც“ იყო და ვიდრე საქორწინო კონტრაქტს ხელს მოაწერდნენ, თავადმა რაძივილმა პატარძალს უთხრა: „შენი ცრუმორწმუნეობა უნდა დაივიწყო, „კუმის სიბილა“ — ჩვენი ოჯახის მფარველია!“ მერე დაბნეულ ქალიშვილს ხელი ჰკრა და იმ პატარა დარბაზში შეაგდო, სადაც ნახატი ეკიდა. არეული გონებით აგნესა ტილოსთან მივიდა, შემდეგ კი თავზარდაცემულმა იკივლა: „მიშველეთ, ის მე მომკლავს! დედა! კარი გამიღეთ, გემუდარებით!“ მოხუცმა თავადის ქალმა ქმარი გვერდზე გასწია და კარი შეაღო: სწორედ ამ დროს მძიმე მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული სურათი ჩამოწყდა და ქალიშვილს ზედ დაეცა...

აგნესას დაკრძალვის შემდეგ პრუსიელმა გენერალმა ჰოჰენლოემ, რომელმაც თავის დროზე აგნესა რაძივილებთან ჩაიყვანა, თავის დღიურში ჩაწერა: **„ზოგიერთ მხატვრულ ტილოს საკუთარი ცხოვრება აქვს — იდუმალი და ძნელად განსაჭვრეტი, რომლის შეცვლა არც მის ავტორს, არც მფლობელს არ შეუძლია“.**

ნინო ალექსანდრია

## ეპიტაფია

# აქაც კარგი კაცი იყო...

## ჰამლეტ გეგეშიძის ხსოვნას



კარგი ადამიანი სიცოცხლეს რომ ემშვიდობება, ახლობლებსა და ჭირისუფლებს ისღა დაგვრჩენია, თავი იმით ვინუგეშოთ, რომ სიკვდილსაც კარგები უყვარს.

სწორედ ასეთი კარგი, დიდებული, კაცური კაცი, გამორჩეული პიროვნება იყო **ჰამლეტ გეგეშიძე**, რომელმაც ღრმად შინაარსიანი ცხოვრება ქ. სამტრედიასა და სოფელ მარანში გაატარა.

თუკი ვინმეზე შეიძლება იმის თქმა, კაცურად იცხოვრაო, ჰამლეტ გეგეშიძეზე ითქმის. ისევე როგორც მის დაუვიწყარ ძმაზე — ბონდო გეგეშიძეზე, რომლის კაიკაცობასა და ვაჟკაცობაზე მთელი სამტრედია ლაპარაკობს.

დღეს სოფელ მარანში ბევრი ალალი ცრემლი დაიღვრება, ჰამლეტ გეგეშიძის ოჯახში სამძიმარზე მისული ხალხი ღრმა მწუხარებით დაიტირებს აგრეთვე ბატონი ჰამლეტის უსაყვარლეს ძმისშვილს, მის გაზრდილ ალეკო გეგეშიძეს, რომელიც შორეულ ლონდონში გარდაიცვალა, სადაც იგი ბოლო ხანს მოღვაწეობდა როგორც ნიჭიერი მუსიკოსი, რომლის გარდაცვალების შემზარავი ამბავი მას სიცოცხლეში არ შეუტყვია.

სახელი, რომელიც ჰამლეტ გეგეშიძემ დატოვა, მუდამ ჩაუქრობელ სანთლად ენთება და სიკეთის გზას გაუნათებს მის ღირსეულ ოჯახს.

გეგეშიძეების ძვირფას საფლავებს კიდევ ერთი ძვირფასი საფლავი მიემატა, რომლის თვალის შევლებისას უამრავი მადლიერი ადამიანი აუცილებლად იტყვის, რომ ჰამლეტ გეგეშიძე აქაც კარგი კაცი იყო და იქ ნათელი დაადგება.

სოფელ მარნის მეზობლების სახელით
მარინა კანდელაკი

ჟანა, ნონა, თემურ ბრელიძეები, რუსიკო, ნესტორ ჩიხლაძეები, მარინა კანდელაკი ოჯახებით მწუხარებას გამოხატავენ

**ჰამლეტ გეგეშიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

უახლოესი მეგობრები შალვა ბერიანიძე, თენგიზ ადამაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი, აბესალომ ყურაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გრამიტონ კვარაცხელიას მეუღლის ქალბატონი

**ვალიდა მახარაძე-კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო.

საააქციო საზოგადოება „ხიდმშენის“ დირექტორატის

**განცხადება**

**2012 წლის 27 სექტემბერს დღის 15 საათზე ჩატარდება სს „ხიდმშენის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება**

**დღის წესრიგი:**

1. სააქციო საზოგადოება „ხიდმშენის“ წესდებაში ცვლილებების შეტანა. მომხსენებელი აღმასრულებელი დირექტორი **გრიგოლ ჩიქოვანი.**

2. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რიცხვის გაზრდა და ახალი წევრების არჩევა. მომხსენებელი აღმასრულებელი დირექტორი **გურამ კიზირია.**

3. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებისა და ფუნქციონალური დატვირთვის განსაზღვრა. მომხსენებელი აღმასრულებელი დირექტორი **გრიგოლ ჩიქოვანი.**

დირექტორატი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

### ნეტავ თავად ბრედი რა ჭკუაზეა?



**ცნობილი ჰოლივუდელი ვარსკვლავის ბრედ პიტის დედამ ჯეინ პიტმა გაზეთ „სპრინგფილდ ნიუს-ლიდერს“ წერილი მისწერა. სულით ხორცამდე ქრისტიანი ქალბატონი მხარს უჭერს პრეზიდენტობის კანდიდატს რესპუბლიკური პარტიიდან მიტ რომნის და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ამჟამინდელ პრეზიდენტ ბარაკ ობამას — „ლიბერალს, რომელიც მხარს უჭერს დაუბადებელ ბავშვთა მკვლელობასა და ერთსქესა ქორწინებებს“.**

სააგენტო „სპლეშის“ ცნობით, მომხდარს გარკვეულ პიკანტურობას ის გარემოება ანიჭებს, რომ მისი ვაჟიშვილი დემოკრატებს ობამას მეთაურობით უბრალოდ მხარს კი არ უჭერს — მან ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ ანჯელინა ჯოლის ცოლად არ შეირთავს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში... ჰომოსექსუალისტებსა და ლესბოსელებს ერთმანეთზე ქორწინების უფლებას არ დართავენ!

### მონიტორინგი მეწამორში

**იაპონიის ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება კვლავ მიაპყრო ამ ტიპის ენერგოობიექტებზე უსაფრთხოების პრობლემას.**

კავკასიაში ერთადერთი სომხეთის მეწამორის ატომური ელექტროსადგურია, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოური წარმოების პირველი თაობის ატომური რეაქტორითაა აღჭურვილი. სადღეისოდ, სადგურში 407,5 მეგავატის სიმძლავრის მეორე ბლოკი მუშაობს, რომელიც სომხეთის ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დაახლოებით ნახევარს აკმაყოფილებს, ამიტომ ქვეყნის მთავრობა მოძველებული ობიექტების გაჩერების სასტიკი წინააღმდეგია. პროექტის თანახმად, მისი საექსპლუატაციო ვადა 2016 წელს იწურება.

აღსანიშნავია, რომ მეწამორის ატომური ელექტროსადგურის აქციების 57,3 პროცენტის მფლობელია რუსეთული „როსატომი“. გაზაფხულზე მეწამორის ენერგოობიექტი ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატესძ ეგიდით მომუშავე კომისიამ შეისწავლა. მასში 11 ქვეყნის ატომური ენერგეტიკის საუკეთესო ექსპერტი იყო ჩართული, თუმცა სომეხი სპეციალისტები აღნიშნული კომისიის სამუშაო ჯგუფში არ შეიყვანეს. მეწამორის ატომური ელექტროსადგურის ექსპლუატაციის უსაფრთხოება მუდმივი მონიტორინგის ქვეშ მიმდინარეობს.



### მშობლიურს პლუს ჟესტების ენა

**ჟესტების ენას ისლანდიაში, ქვეყნის პარლამენტის, ალტინგის დეპუტატთა გადაწყვეტილებით, ოფიციალური ენის სტატუსი მიანიჭეს.**

ალტინგის ამ ისტორიულ სხდომას ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მრავალი წევრიც ესწრებოდა, რომლებიც ამ კანონის მისაღებადოც წელზე მეტს იბრძოდნენ.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ოფიციალური სტატუსი ჟესტების ენას მხოლოდ ახალ ზელანდიაში ჰქონდა მინიჭებული, სადაც ეს კანონი ხუთი წლის წინათ მიიღეს.

### კანს გაუფთრხილდით, ქალბატონებო, თამბაქოს მოერიდეთ!

**ბევრს, ალბათ, გაუჭირდება კითხვაზე პასუხის გაცემა — რომელია ადამიანის ყველაზე დიდი ორგანო. თურმე, ნუ იტყვით და ეს ორგანო... კანი ყოფილა!**

ასევე ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ კანის ზედაპირი საშუალოდ ორ კვადრატულ მეტრს შეადგენს; მისი წონა სხეულის მთელი მასის 16 პროცენტია; ყოველ



წუთში კანში 2460 მილილიტრი (246 გრამიძ სისხლი გადის; ადამიანის კანი მთლიანად დაახლოებით 28 დღეში ახლდება; ფილტვებთან ერთად კანი სუნთქვაშიც მონაწილეობს; დღეღამის განმავლობაში კანი 3-4 გრამ ჟანგბადს „ისუნთქავს“ და დაახლოებით 9 გრამ ნახშირორჟანგს „ამოისუნთქავს“; თამბაქოს მწეველ ქალთა კანი ოთხჯერ უფრო სწრაფად ბერდება, ვიდრე არამწეველ ქალბატონთა კანი; სხეულის უბნისდა მიხედვით, ზრდასრული ადამიანის კანის სისქე დაახლოებით 2 მილიმეტრია. ყველაზე სქელი კანია ხელის გულებსა და ტერფებზე, სადაც მისი სისქე 10 მილიმეტრს აღწევს.

### წიგნის დიდი ტრფიალი

**შვიდი წლის იერუსალიმელმა გოგონამ ნოა პურისმა წლის განმავლობაში ქალაქის მუნიციპალური ბიბლიოთეკიდან 600(!) წიგნი გაიტანა, კერძოდ, იმისათვის, რომ ჰარი პოტერის შესახებ რომანების მთელი სერია წაეკითხა (ივრითზე კი ეს მთელი ოთხი ათასი გვერდია), რისთვისაც გოგონას ორ თვეზე ნაკლები დრო დასჭირდა. უნიკალურ ბავშვს ქალაქის მერიამ „იერუსალიმის ყველაზე დიდი წიგნის მოყვარულის“ წოდება მიანიჭა.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



#### რა ქონებას ფლობს გიორგი თარგამაძე და რას უყვებიან „ალიას“ მისი მეზობლები?!

— საიდან აქვს ამხელა სახლი? საიდან და ბადრისგან! ბადრიმ გაუკეთა ეს ბინა. ბადრის ბოლო საჩუქარია. აქ თარგამაძეები გადმოვიდნენ 2007 წელს. ეს რწყილი, რომ მოგეკრობა, ვერ მოიცილებ. 18 წლის იყო ასლანთან რომ მივიდა, რაღაცა, რაღაცა და ისე შეუძვრა ასლანს, რომ მისი უსაყვარლესი ბიჭუნა გახდა. მერე ასლანმა პარლამენტში შეიყვანა. ამის შემდეგ ბადრი გამოჩნდა ასპარეზზე და უფრო მეტი ფულიანი კაცის კარზე გადახტა.

„ალია“.

#### „საქართველოში შეიარაღებული დაპირისპირება გამორიცხულია“

— მიაჩნია აკაკი ასათიანს, — შეიარაღებულ დაპირისპირებას მე არ ველი. ვერ ვხედავ ამის შესაძლებლობას. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უფრო სამოქალაქო პროტესტის ვარაუდი შეიძლება გვქონდეს. მე იმედი მაქვს, რომ დასავლელი პარტნიორები ყოველნაირად ეცდებიან, რომ არჩევნების შედეგები მაქსიმალურად მიუახლოვდეს საზოგადოების განწყობას.

„ახალი თაობა“.

#### მოსწავლეების შედეგიანი გაფიცვა ახალგორის ქართულ სკოლაში

ახალგორის ქართული სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელსაც დირექციამ ასაკის გამო საათები შეუმცირა, მოსწავლეების სპეციალური მოთხოვნის შედეგად სამსახურში დააბრუნეს და წართმეული საათებიც აღუდგინეს. მოსწავლეების მოთხოვნა კატეგორიული იყო. მათ პროტესტის ნიშნად გაკვეთილებზე დაუსწრებლობა გამოაცხადეს და ამ მოთხოვნით მიმართეს როგორც რაიონის განათლების განყოფილების უფროსს, სერგო ავლოხოვს, ასევე — გამგებლის მოადგილეს ალექსანდრე ბარათაშვილს.

#### ოჯახში შინამოსამსახურის დაქირავება სულ უფრო პოპულარული ხდება

ბოლო დროს საქართველოში ოჯახის ე. წ. დამხმარე ქალის დაქირავების ტენდენცია მეტად გაიზარდა. დღეს თითქმის ვერც ერთ ფინანსურად გამორჩეულ ოჯახს ვერ ნახავთ ასეთი ადამიანის გარეშე, მიუხედავად იმისა, სჭირდება თუ არა ეს. ამასთან, აღნიშნული ტენდენცია მოდურიც კი გახდა. გარდა ამისა, ოჯახის დამხმარე უმეტესწილად სრულუფლებიანი წევრივით ცხოვრობს „პატრონის“ სახლში. „ასეთი კმაყოფილი, საზღვარგარეთ რომ წავსულიყავი სამუშაოდ, ნამდვილად არ ვიქნებოდი. ერთდროულად ვმუშაობ, შვილებსაც ვუვლი და საკუთარი ოჯახიც უყურადღებოდ არ მყავს დატოვებული“, — ამბობს ერთ-ერთი შინამოსამსახურე.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

**მიმდინარეობს** ოპოზიციის მიტინგი. ამ დროს ქალაქის თავზე გადაიჭიმება ცისარტყელა:

— ხედავთ, ხალხო, რაში ხარჯავენ ფულს!

* * *

**პატარა** კუ მთელი დღე ცდილობს პალმაზე აცოცებას, მაგრამ არ გამოსდის. ამ პროცესს აკვირდება ორი მაიმუნი. ბოლოს ერთი ეუბნება მეორეს:

— იქნებ ვუთხრათ, რომ ნაშვილები გვყავს?

* * *

**გეოგრაფიის** მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

— რა იცი პანამის არხზე?

— არაფერი, ჩვენი ტელევიზორი მაგ არხს არ აჩვენებს.

* * *

**ზარი** ბიზნესმენის ტელეფონზე:



— ეხლა კარგად მომისმინე, თუ არ გადამიხდი 100 000 დოლარს, ან შვილს მოგტაცებ, ან მანქანას დაგილეწავ, ან სახლს გადაგიწვავ.

— ჯერ გადაწყვიტე რა გინდა და მერე დამირეკე.

* * *

**ჭიჭიკია** აფრიკაში იყო. უკან დაბრუნებული ბიჭიკიას უყვება თავის აფრიკულ ამბებს:

— ხოდა მომიახლოვდა ლომი, მაგრამ არ შემხებია. სპილო ვეგონე ალბათ.

— არ გადამრიო? სპილო რაფერ ეგონე?

— შიშისაგან იმდენი ჩავისვარე, მაგდენს სპილოც ვერ იზამდა.

* * *

**ქმარი** ცოლს საყვარელთან შეუსწრებს. საყვარელი ჩუმად ადგება და წავა.

ქმარი:

— ქალო, ეს ვინ არის?

ცოლი:

— რა ვიცი, აბა, თავხედია ვიღაცა, არც შენ მოგესალმა და არც მე დამემშვიდობა.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24